აშშ-ის ეკონომიკა არასახარბიელო ვითარებაშია A2

რაიონებში პარტიები პასიურობენ A2

სამხედრო ექსპერტების აზრი ბაღდადის ოპერაციის შესახებ A3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | კვირა, 6 აპრილი, 2003 წელი. №94 (306) | ფასი 50 თეთრი

# კოალიციის ტანკები ბაღდადში არიან

## ერაყის ინფორმაციის მინისტრმა ჟურნალისტებს საწინააღმდეგო ინფორმაცია აუწყა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ აშშ-ის მე-3 ქვეითი დივიზია ბაღდადში შევიდა. "კოალიციის ძალები ბაღდადის ცენტრში იმყოფებიან," - განაცხადეს აშშ-ის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებმა. კატარში ბაზირებული კოალიციის ხელმძღვანელობამ ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ერაყის დედაქალაქში აშშ-ის არმიის მსხვილი ქვედანაყოფები შედიან. კითხვაზე - წარმოადგენს თუ არა ეს შეტევა მხოლოდ და მხოლოდ სადაზვერვო ოპერაციას? სარდლობის წარმომადგენელმა ფრენკ ტორპიმ, უბრალოდ, აღნიშნა, რომ კოალიციის ჯარები ბაღდადის დატოვებას არ აპირებენ. მისი თქმით, აშშ-ის ძალებს ქაოტური და არაორგანიზებული წინააღმდეგობა ხვდებათ. ტორპიმ განაცხადა, რომ კოალიციის ჯავშანტექნიკის კოლონამ უკვე გადაკვეთა ერაყის რესპუბლიკური გვარდიის იმ სპეცდანაყოფების პოზიციები, რომელთა უმთავრეს და ძირითად ამოცანასაც ერაყის ხელისუფლების დაცვა და უსაფრთხოება წარმოადგენდა.

თვითმხილველთა თქმით, გუშინ, დილით, ბაღდადში მძიმე ბრძოლები გაიმართა. "ბი-ბი-სი-"ს კორესპონდენტი კი ბაღდადის ცენტრიდან იუწყებოდა, რომ ის ვერც ერთ ამერიკელ ჯარისკაცს ვერ ხედავდა, თუმცა ავტომატური იარაღიდან და ნაღმტყორცნებიდან სროლების ხმა ქალაქის სამხრეთ რაიონებიდან გარკვევით ესმოდა. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციების შეფასებისას სამხედრო ანალიტიკოსები მიუთითებდნენ იმაზე, რომ ბაღდადი უდიდესი ქალაქია და ტანკების გადაადგილება ერთ რაიონში ნამდვილად შესაძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს სხვა რაიონებში მყოფი ადამიანებისთვის.

ბაღდადში ამერიკული ტანკების შესვლამდე ერაყის დედაქალაქი მთელი ღამის განმავლობაში მასიურად იბომბებოდა. დილით კი კოალიციის ტანკებმა ბაღდადზე შეტევა დაიწყეს. გუშინვე აშშ-ის მე-3 ქვეითი დივიზიის მებრძოლებმა რესპუბლიკური გვარდიის ერთ-ერთი ელიტარული დივიზიის შტაბბინა დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი დედაქალაქზე შეტევის დროს შესაძლო მსხვერპლის თაობაზე. ასავე უცნობია, თუ რომელ რაიონებს აკონტროლებენ კოალიციის ჯარები და უწევენ თუ არა წინააღმდეგობას ამერიკელებს ერაყელი მებრძოლები.

გაგრძელება A3 გვერდზე




# ეკრანთან მიჯაჭვული ბუში

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

თუ თეთრი სახლის ოფიციალურ წყაროებს მოვუსმენთ და დავუჯერებთ, თურმე პრეზიდენტი ბუში მშვიდი და გაწონასწორებულია, არ ღელავს და ერაყის ომის ფრონტებიდან სატელევიზიო გადაცემებს ყოველ წუთს არ უყურებს. სინამდვილე კი სულ სხვაგვარად გამოიყურება.

გასული უიქ-ენდი პრეზიდენტმა, როგორც ყოველთვის, თავისი ახლო მეგობრის როლანდ ბეტსის საზოგადოებაში, კემპ-დევიდში გაატარა. რეპორტიორების იქ მისვლის მომენტში ბუში, ფეხზე მდგარი, ტელევიზორს უყურებდა.

- ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ თქვენ ტელეეკრანს მიკრული სულაც არ ხართ, - თქვა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

ბუშმა გადაიხარხარა...

ბეტსის სიტყვებით, ბუში "მთლიანად ამ პრობლემაზეა კონცენტრირებული. კემპ-დევიდში ყოფნის ორი დღის მანძილზე ჩვენ მხოლოდ ომზე ვსაუბრობდით. მას მუდმივად ჩართული აქვს საკაბელო ტელევიზია, რათა ერაყიდან უკანასკნელი ცნობები მოისმინოს. თუ რაიმე შეაშფოთებდა, მაშინვე იღებდა ტელეფონს და მეზობელ ფლიგელში მყოფ კონდოლიზა რაისს ურეკავდა". უკანასკნელ დღეებში ეს ფაქტი თეთრი სახლის საინფორმაციო სამსახურმაც აღიარა. ამბობენ, რომ ბუში გაცილებით უფრო ჩართულია ომის მსვლელობაში, ვიდრე მისი მამა იყო პირველი ომის დროს.

უმცროსი ბუში დეტალებში კარგად ვერ ერკვევა და არ უყვარს ისინი. ომის წარმოება მან თავის გენერლებს ჩააბარა, თვითონ პირადად კი მხოლოდ ორი გადაწყვეტილება მიიღო - ომის დაწყებისა და "ქირურგიული" თავდასხმის, სადამ ჰუსეინის და მისი ვაჟიშვილების მოკვლის მიზნით. პირველი გადაწყვეტილების მიღება, ბუნებრივია, მოხდა მაქსიმალურად საჯაროდ. მეორე შემთხვევაში პერსონიფიცირება არ მომხდარა. შიშობდნენ - პირად შურისძიებად არ აღქმულიყო მამის გამო, რომლის მოკვლის წარუმატებელი მცდელობა სადამ ჰუსეინის მიერ 1993 წელს იქნა ორგანიზებული. აი, ამიტომ პრეზიდენტი ტელევიზიით გადმოცემულ ბაღდადის პირველ დაბომბვას დემონსტრაციულად არ უყურებდა, მიანიშნებდა, რომ ეს პირადად მას ნაკლებად ეხება.

დღის განმავლობაში ბუშთან ტარდება ბრიფინგები ომის შესახებ, აგრეთვე, ღებულობს დაზვერვის მონაცემებს - ეს ყველაფერი მოიცავს 3 საათს. ამასთან ერთად, მისი თანაშემწე ნაციონალური უშიშროების დარგში რაისი, პენტაგონის შეფი რამსფელდი და თეთრი სახლის შტატის უფროსი ენდრიუ ქერდ-უმცროსი, გამუდმებით აწვდიან უკანასკნელ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია თეთრ სახლში გროვდება დილით, როდესაც ე.წ. სიტუაციების ოთახში პრეზიდენტი და მისი მრჩევლები ფრონტებზე განვლილი დღის მდგომარეობას განიხილავენ. განხილვაში მონაწილეობს ტომი ფრენკსიც - ერაყში "კოალიციური" ჯარების მეთაური. იგი სიტუაციათა ოთახის უზარმაზარ ვიდეო-ეკრანზე ჩნდება და თათბირში ერთვება დოჰადან (ყატარი), სადაც მისი შტაბ-ბინა მდებარეობს. გენერალი ფრენკსი პრეზიდენტ ბუშის ფავორიტია. იგი პრეზიდენტის მეუღლის - ლორას თანაკლასელი იყო ტეხასის საშუალო სკოლაში (როგორც ჩანს, ამიტომაც მიაფუჩეჩეს სკანდალი, გამოწვეული იმით, რომ ფრენკსს თავისი ცოლი სამხედრო თვითმფრინავებით დაჰყავდა და თანაც საიდუმლო დოკუმენტებსაც აცნობდა. ფრენკსს აპატიეს და მისი ცოდვები ჩამოწერეს, ვინაიდან ისინი, თურმე, გამოწვეული იყო ... ცოლისადმი მეტისმეტად ძლიერი სიყვარულით!). ბუში, ჩვეულებრივ, თავისი სამხედრო მეთაურის რეკომენდაციებს ეთანხმება და ითვალისწინებს მათ. "ტომი ღებულობს ყველაფერს, რაც მას სჭირდება", - თქვა ამ დღეებში ბუშმა წარსული ომების ვეტერანებთან შეხვედრისას. თეთრი სახლის თანამშრომლები შეკამათებას ვერ უბედავენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შეიქმნა საარჩევნო ბლოკი ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით







გუშინ გვიან ღამით სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტთან შეიკრიბნენ "მოქალაქეთა კავშირის", "სოციალისტური პარტიის" და მოძრაობის "დიდი აბრეშუმის გზით" ხელმძღვანელები: ავთანდილ ჯორბენაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი, აკაკი ჩხაიძე, ზეზვა ღუღუნიშვილი, ვიტალი ხაზარაძე, ლევან მამალაძე და სხვა პარტიული აქტივისტები. შეხვედრის თემა იყო მომავალ საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლო ძალთა გამოსვლა. როგორც შეხვედრის შემდეგ ზეზვა ღუღუნიშვილმა განაცხადა, შეიქმნა საარჩევნო ბლოკი ამ სამი ძალის მონაწილეობით. ბლოკს უშუალოდ ედუარდ შევარდნაძე უხელმძღვანელებს. ბლოკში გაერთიანდა რამდენიმე წვრილი პარტია და მოძრაობაც. როგორც ვარაუდობენ, ბლოკს შეუერთდებიან "მრეწველებიც". ვახტანგ რჩეულიშვილმა ბლოკის პირველი სამეულიც დაასახელა: შევარდნაძე, ჯორბენაძე, რჩეულიშვილი. "სოციალისტების" ლიდერი იმედოვნებს, რომ სიებში კვოტების თაობაზე გაუგებრობები გამორიცხულია, რადგან ბლოკი შთამბეჭდავი უმრავლესობით აპირებს არჩევნებში გამარჯვებას და ადგილი ყველასათვის საკმარისი იქნება...

საარჩევნო შტაბს ავთანდილ ჯორბენაძე უხელმძღვანელებს.

*24 საათი*

# უშიშროების საბჭოს სხდომა

შაბათს უშიშროების საბჭოს აპარატის გაფართოებულ თათბირზე, შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის გარდა, ყველა ძალოვანი უწყებების პირველი პირი გამოცხადდა.

თათბირზე განიხილეს უშიშროებისა და სამართალდამცველი სტრუქტურის რეფორმის კონცეფციის ფარგლებში მომზადებული ხუთი კანონპროექტი.

შეგახსენებთ, რომ თავად კონცეფცია გასული წლის ოქტომბრის ბოლოსთვის იყო წარმოდგენილი. გუშინდელ შეხვედრაზე წარმოდგენილი კანონპროექტები კი უკვე განიხილა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, რის შესახებაც "24 საათი" დაწვრილებით უკვე წერდა.

გუშინ კანონპროექტები უშიშროების საბჭოს სხდომაზე უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ წარმოადგინა.

მისი თქმით, წარმოდგენილი კანონპროექტები პირდაპირ არ უკავშირდება უშიშროების სამინისტროს რეფორმას, თუმცა ზოგადად ითვალისწინებს სისტემის რეფორმირებას.

ხაბურძანიას განცხადებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია კანონპროექტი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ.

ასევე წარმოდგენილია კანონპროექტები სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, ტერორისტული ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ ორგანული კანონპროექტი და ელექტრონული სპეცსაშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონპროექტი.

*"24 საათი"*

# დღეს პრემიერაა

გუშინ "ვაკის სარდაფში" ჩეხოვის "ძია ვანიას" წინასაპრემიერო ჩვენება გაიმართა. პრემიერა დღეს, საღამოს 7 საათზე, არის დანიშნული. სპექტაკლის რეჟისორია ოთარ ეგაძე. მთავარ როლში, ანუ ძია ვანიას როლში, მაყურებელი კინომსახიობთა თეატრის მსახიობს - გია როინიშვილს იხილავს. "მე მგონი, ქართველ მაყურებელს დღეს ეს პიესა განსაკუთრებით სჭირდება," - ამბობს გია როინიშვილი. როგორც მსახიობმა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ეს როლი მისთვის, პირველ რიგში, ნდობის გამოცხადებასა და დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს: "მინდა, ბევრი რამ ვუთხრა ქართველ მაყურებელს – ჩეხოვის რთული ენაც ამოვხსნა და ჩემი სათქმელიც მივაწოდო. ვნახოთ, რა გამომივა. ჩანაფიქრის განხორციელება თუ მოვახერხე, უბედნიერესი კაცი ვიქნები..." როგორ განხორციელდა ეს ჩანაფიქრი "ვაკის თეატრალური სარდაფის" სცენაზე, ამას მაყურებელი დღეს საღამოს განსჯის.



სცენა სპექტაკლიდან

A2 ინფორმაცია | A3 უცხოეთი | A4 საზოგადოება | A5 კულტურა | A6 სპორტი | A7 განცხადებები | A8 სხვადასხვა

## ვახტანგ რჩეულიშვილი:
# ქართველებსა და ოსებს შორის ნდობა ნებისმიერი გზით უნდა აღდგეს

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი მიიჩნევს, რომ მარტში სოჭში გამართული საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა სერიოზული იმპულსი გახდა კონფლიქტის დარეგულირების პროცესის გააქტიურებისთვის არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სამხრეთ ოსეთშიც.

როგორც ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, იგი მარტში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითის შეხვდა, რომელმაც მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში პოლიტიკური საკითხები არ დაისვას მხარეთა შორის მოლაპარაკებებზე და მაქსიმალური ძალისხმევა მოხმარდეს თბილისსა და ცხინვალს შორის ნდობის განმტკიცებას.

რჩეულიშვილის თქმით, ოფიციალურმა თბილისმა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიანი გზა აირჩია და არ აპირებს ამ კურსიდან გადახვევას.

რაც შეეხება ედუარდ კოკოითის მიერ ეუთო-ს ელჩებთან შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიისთვის ემზადება და ამიტომ სამხრეთ ოსეთს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს, ვახტანგ რჩეულიშვილმა აღნიშნა, რომ ეს პოზიცია ნაკარნახევია არა ქართული მხრიდან მუქარის საფრთხით, არამედ საკუთარი პოზიციების განმტკიცების სურვილით, რადგან ედუარდ კოკოითის ცხინვალში რეალური ოპოზიცია ჰყავს.

"პირველ რიგში, საჭიროა ნდობის აღდგენა ქართველებსა და ოსებს შორის და ეს ნებისმიერი მეთოდებით უნდა მოხდეს", - აღნიშნა ვიცე-სპიკერმა.

*პრაიმ-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** "ლეიბორისტული" (შრომის) პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მხარს უჭერს პარლამენტის წევრისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის გაუქმებას და ამტკიცებს, რომ ამ საკითხზე მუშაობა ლეიბორისტებმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყეს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველის" 50-მდე წევრმა შაბათს, "დედა ენის" ძეგლთან, საპროტესტო მიტინგი გამართა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომისა და ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 8 აპრილს აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება. როგორც ნადარეიშვილმა განაცხადა, ორდღიანი ვიზიტისას საკვანძო საკითხი იქნება აზერბაიჯანის ჩართვა სამშვიდობო პროცესში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ევროკავშირისა და საქართველოს ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხების ქვეკომიტეტის მესამე შეხვედრა. სხდომას როტაციის პრინციპით თავმჯდომარეობდა ქართული მხარე. შეხვედრაზე განიხილებოდა ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრი და მათი სამართლებრივი ასპექტები; კერძოდ, საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების პროცესები, ვაჭრობის, ბიზნესისა და ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სასაზღვრო საგუშაგოებსა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე 2005 წლისთვის დასრულდება სახელმწიფო საზღვრის მართვის კონტროლისა და თვალთვალის სისტემის დამონტაჟება. ამის შესახებ აცხადებენ საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წელს საქართველოს სასაზღვრო ძალების ორი ოფიცერი საფრანგეთის სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნება, სადაც ისინი სამხედრო ინსტრუქტორის მომზადების სპეციალურ კურსს გაივლიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კავკასიური ოთხეულის" პარლამენტების თავმჯდომარეთა მორიგი შეხვედრა თბილისში გაიმართება. რუსეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელთა მორიგი შეხვედრა 29-30 აპრილისთვისაა დაგეგმილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს "ნაციონალური მოძრაობის" თანაბლოკელი პარტიის "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერი ზვიად ძიძიგური პარტიის გაფართოებული რიგებით შეხვდება.

8 აპრილს დაგეგმილ პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე "ეროვნულ ძალთა გაერთიანება", "დიდგორი" და ცალკეული ჯგუფები "ჰელსინკის კავშირიდან" და "ილია მართლის საზოგადოებიდან" ოფიციალურად გაფორმდებიან ერთიან პოლიტიკურ ძალად. **ინტერ-პრესი**

# არასამთავრობო ორგანიზაციას „ლეიბორისტებისა" და „ნაციონალების" შერიგება არ გამოუვიდა

დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის მცდელობა - მომხდარიყო "ლეიბორისტული" პარტიისა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური შერიგება - არასამთავრობო ორგანიზაციისთვის კრახით დასრულდა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" თავმჯდომარემ, დავით ლილუაშვილმა განაცხადა, დღეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, აუცილებელია "ლეიბორისტული" პარტიისა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური შერიგება, რადგან მათი ურთიერთდაპირისპირება საპარლამენტო არჩევნებისთვის საშიშ ხასიათს მიიღებს.



შეურიგებელნი.



არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით მოსახლეობაში ხელმოწერები დაიწყო თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული ორი პოლიტიკური ძალის შესარიგებლად და 12 000 ხელმოწერაც შეგროვდა. დავით ლილუაშვილის განცხადებით, ხელმოწერების შეგროვების დაწყებას "ლეიბორისტული" პარტიის ლიდერი ერთი თვის წინ კმაყოფილებით შეხვდა. გუშინ კი ხელმოწერების შეგროვებას მან "ნაციონალური მოძრაობის მიერ ინსპირირებული" უწოდა, ხოლო თავად არასამთავრობოს -ნაციონალისტების მიერ შექმნილი." ლილუაშვილმა დასძინა, რომ ისინი, ამ ფაქტის გამო, აღშფოთებას გამოთქვამენ: "კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ორივე პარტიის ლიდერს, დათმონ ამბიციები და შერიგდნენ, რათა საპარლამენტო არჩევნებს ავაცილოთ პოლიტიკური ამინდის გაუარესება".

*კავკას-პრესი*

# რაიონებში პარტიები პასიურობენ

*მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა პირველად დაასახელა მომავალი საპარლამენტო არჩევნების გამართვის სავარაუდო თარიღი. თუ არაფერი შეიცვალა და არჩევნები ამა თუ იმ მიზეზით არ გადაიდო, იგი შემოდგომაზე, ნოემბრის პირველ კვირადღეს გაიმართება. არჩევნების მოახლოებასთან ერთად საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება უფრო აქტიური და მშფოთვარე ხდება. თუმცა, პარტიული ორგანიზაციები, ძირითადად, თბილისსა და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებში აქტიურობენ. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას აქტიურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.*

თამარ მჭედლიშვილი

არჩევნების წინ "სამართლიანი არჩევნების" წევრები რეგიონებში პარტიული ცხოვრებით დაინტერესდნენ. როგორც გაირკვა, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა თითქმის არ აქტიურობს, თუმცა როგორც "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები აცხადებენ, პარტიები ადგილებზე არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე "გამოცოცხლდებიან".

პარტიების აქტიურობის დადგენის პარალელურად, "სამართლიანი არჩევნების" რეგიონულმა კოორდინატორებმა თბილისის ოფისს იმ პარტიათა ჩამონათვალი გაუგზავნეს, რომელთაც ადგილებზე საკუთარი რაიონული ორგანიზაციები აქვთ გახსნილი.

"24 საათი" გთავაზობთ იმ პარტიათა ნუსხას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს (ინფორმაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" მოგვაწოდა).

**საგარეჯო:** "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები", "ტრადიციონალისტთა კავშირი", ლეიბორისტული პარტია, "ახალი მემარჯვენეები",

**გურჯაანი:** "ახალი მემარჯვენეები", "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "ტრადიციონალისტთა კავშირი", "მძლეველი", ლეიბორისტული პარტია.

**სიღნაღი:** "ღარიბთა უფლებების დაცვის პარტია", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**წნორი:** რესპუბლიკური პარტია.

**დედოფლისწყარო:** "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ეროვნულ- დემოკრატიული პარტია, "ახალი მემარჯვენეები", საქართველოს მოქალაქეთა კავშირი: ერთიანი კომუნისტური პარტია: სახალხო პარტია: "გაერთიანებული დემოკრატები", სოციალისტური პარტია, "ტრადიციონალისტთა კავშირი".

**ლაგოდეხი:** "ახალი მემარჯვენეები", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", საქართველოს მოქალაქეთა კავშირი.

**ყვარელი:** "გაერთიანებული დემოკრატები".

**თელავი:** "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი", "ტრადიციონალისტთა კავშირი", "ახალი მემარჯვენეები".

**ახმეტა:** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი", "ახალი მემარჯვენეები", "დემოკრატიული აღორძინების კავშირი".

**ბოლნისი:** სოციალისტური პარტია, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

**თიანეთი:** ლეიბორისტული პარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი:

სოციალისტური პარტია: "სპორტული საქართველო"

**გორი:** "საქართველოს მოქალაქეთა კავშირი", "ახალი მემარჯვენეები", ლეიბორისტული პარტია, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები".

**ქარელი:** "საქართველოს მოქალაქეთა კავშირი", სოციალისტური პარტია:

**ხაშური:** "ახალი მემარჯვენეები", "გაერთიანებული დემოკრატები", ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი: "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", სოციალისტური პარტია, ლეიბორისტული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**ახალციხე:** საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, საქართველოს ერთიანი კომპარტია, ლეიბორისტული პარტია, "გაერთიანებული დემოკრატები", "ახალი მემარჯვენეები".

**ადიგენი** "ახალი მემარჯვენეები".

**ასპინძა** "ახალი მემარჯვენეები", "აღორძინება".

**ქუთაისი**: "გაერთიანებული კონსერვატორები", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", "ნაციონალური მოძრაობა", სოციალისტური პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი, "ახალი მემარჯვენეები", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

**წყალტუბო**: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი

**თერჯოლა**: სახალხო პარტია, სოციალისტური პარტია.

**ზესტაფონი**: "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი", რესპუბლიკური პარტია, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", ერთიანი კომუნისტური პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი.

**ჭიათურა**: "გაერთიანებული დემოკრატები", მწვანეთა პარტია, "ნაციონალური მოძრაობა", ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოქალაქეთა კავშირი, ტრადიციონალისტთა კავშირი.

**საჩხერე:** მოქალაქეთა კავშირი, დემოკრატიული აღორძინების კავშირი.

ბუნებრივია, ეს საქართველოს რაიონების და იქ მოქმედი პარტიების არასრული ჩამონათვალია. მომავალში "სამართლიანი არჩევნები" ამ მონაცემების შევსებასა და დახვეწას შეეცდება.

## ეკონომიკა

# ტაშკენტში ნავთობსადენის დაფინანსების საკითხი განიხილება

დღეს ტაშკენტში იწყება ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებს შორის რეგიონალური თანამშრომლობის ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ეგიდით ტარდება. ფორუმი განიხილავს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს, ასევე ტრანსპორტის საკითხებს, რომელთა შორის მთავარი ყურადღება ტრასეკა-ს დერეფნის ფუნქციონირების საკითხებს დაეთმობა. ეკონომიკური ფორუმი იმითაც იქნება მნიშვნელოვანი, რომ მისი მონაწილეები 300 მილიონი დოლარის გამოყოფაზეც იმსჯელებენ, რაც "ი-ბი-არ-დის" აქვს გათვალისწინებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დასაფინანსებლად.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** საერთაშორისო კომპანიათა ჯგუფმა "იტერამ" თბილისისთვის გაზის მოწოდების მოცულობა გაზარდა; თუმცა, გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე მაგისტრალურ გაზსადენზე, პარასკევს მომხდარი ავარიის გამო, დედაქალაქს ბუნებრივი აირი კვლავ არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდება. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, "თბილგაზმა" შაბათს "იტერასგან" მიიღო დასტური დედაქალაქისათვის მიწოდებული გაზის მოცულობის მილიონ 380-ათას კუბურ მეტრამდე გაზრდის შესახებ. ამასთან, ცაავას თქმით, გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ, მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი მექანიკური დაზიანების გამო, გაჩიანის გაზგამანაწილებელი სადგურიდან დედაქალაქისათვის ბუნებრივი აირის მოწოდება ვერ უზრუნველყო, თუმცა მოხდა შეთანხმება, რომ მომარაგება ნავთლუღის გაზსადენიდან მოიმატებს და ვაკის გარკვეული ნაწილი შაბათიდან დაიტვირთება. ვახტანგ ცაავას თქმით, 2-3 დღეში მოხდება ავარიის ლიკვიდაცია, რის შემდეგაც დედაქალაქს გაზის მიწოდება მთლიანად აღუდგება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობის 80 პროცენტს. ამის მიზეზად "თბილგაზში" ასახელებენ ქუთაისისა და დიდუბის ქუჩის გადაკვეთაზე მომხდარ ავარიას, რომლის ლიკვიდაციის მიზნით აუცილებელი გახდა მოსახლეობის გამორთვა. ბუნებრივი აირის გაჟონვის შემთხვევა 300- მილიმეტრიან საშუალო წნევის გაზსადენზე დაფიქსირდა. სავარაუდოდ, მომხმარებელს ბუნებრივი აირის მიწოდება დღეიდან აღუდგება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სააქციო საზოგადოება "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" გენერალური დირექტორი გენო შარეიძე კვლავ ცუდ ელექტრომომარაგებას უჩივის და გამოსავალს იმერეთში განთავსებულ რომელიმე ჰიდროელექტროსადგურთან პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაში ხედავს. "მიუხედავად იმისა, რომ "ფეროს" ელექტრომომარაგების საკითხი პირად კონტროლზე აიყვანეს პრეზიდენტმა, სახელმწიფო მინისტრმა, სათბობენერგეტიკის მინისტრმა და პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთში შაშიაშვილმა, ქარხანაში ამ მხრივ კვლავ რთული მდგომარეობაა," - განაცხადა საწარმოს ხელმძღვანელმა. მისი თქმით, მარტში უშუქობამ საწარმო ერთი კვირით გააჩერა; არადა, გადასახადს "ფერო" წინასწარ იხდის. **ინტერ-პრესი**

# აშშ-ის ეკონომიკა არასახარბიელო ვითარებაშია

თორნიკე შარაშენიძე

ერაყში საომარი მოქმედებების ბოლოდროინდელი განვითარებით შეგულიანებულ ინვესტორებს "ცივი წყალი გადაასხა" აშშ-ის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ახლად გამოქვეყნებულმა მონაცემებმა. ამერიკის Supply Management Institute-მა დაადგინა, რომ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის ეკონომიკა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე იმყოფებოდა ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში და ერაყში გაწეული ხარჯები ვითარებას, ცხადია, კიდევ უფრო დაამძიმებს.

ინსტიტუტის მონაცემებით, არასაწარმოო ბიზნეს-აქტივობის ინდექსი მიმდინარე წლის მარტში შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 53-დან 49-ზე დაეცა. ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელია 2001 წლის ოქტომბრის (11 სექტემბრის შემდგომი პერიოდის) შემდეგ. ინდექსის 50-ს ქვემოთ დაცემა უკვე საგანგაშო მოვლენაა – ეს ნიშნავს, რომ აქტივობა ზრდის ნაცვლად მცირდება.

გარდა ამისა, შემაშფოთებელ მასშტაბს აღწევს უმუშევრობა. ინსტიტუტი იუწყება, რომ მარტში უმუშევრობის დაზღვევა 445 ათასმა კაცმა მოითხოვა – 38 ათასით მეტმა, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს და როგორც კი საომარი მოქმედებები ჩამთავრდება, ეკონომიკა ისევ აღმავლობის გზას დაადგება.

მაგრამ ბევრი ეკონომისტი ფიქრობს, რომ ომის დასრულებით გამოწვეული სტიმული მხოლოდ დროებითი იქნება და ეიფორიის გადავლის შემდეგ აუცილებლად იჩენს თავს ახლანდელი პრობლემები – მიწოდების სიჭარბე, ინვესტიციების ნაკლებობა და დაბალი სამომხმარებლო აქტივობა.

რაც შეეხება გლობალური ეკონომიკის პერსპექტივებს, პრობლემების მიუხედავად, წელს გარკვეული ზრდა მაინც არის მოსალოდნელი. თუმცა, მსოფლიო ბანკის განცხადებით, თუკი ერაყთან ომი გაგრძელდა, შეიძლება ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

დღევანდელი გადასახედიდან კი მსოფლიო ბანკი გლობალური ეკონომიკის 2-3 პროცენტიან ზრდას წინასწარმეტყველებს, რაც საკმაოდ აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს – 1,7 პროცენტს. მსოფლიო ბანკის წინასწარმეტყველება შესაბამისობაშია Supply Management Institute-ის მონაცემებთან. მისი პროგნოზებით, ომის სწრაფად გასრულების შემთხვევაშიც კი აშშ-სა და სხვა წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური აღმასვლა არც ისე სწრაფი იქნება.

გაცილებით უფრო ოპტიმისტურია საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ამ უკანასკნელის აზრით, აშშ-ის ეკონომიკური რეცესიის საფრთხე 15 პროცენტით დაეცა, რაც ერთობ დამაიმედებელი მაჩვენებელია. თუმცა, ფონდი ერთობ აღშფოთებულია ევროპასა და ამერიკაში საცხოვრებელ სახლებზე ფასების მკვეთრი ზრდით, რაც ინფლაციის საშიშროებას შეიცავს.

# ნიუ-იორკში ნავთობკომპანიების სახსრების უკანონო გადამრიცხველი დააპატიმრეს

ნიუ-იორკში დააპატიმრეს ფინანსური კონსულტანტი „მისტერ ყაზახეთი", რომელსაც ყაზახეთის ინკოგნიტო უმაღლესი პირებისთვის დასავლეთის ნავთობკომპანიების სახსრების უკანონო გადარიცხვაში დასდეს ბრალი.

62 წლის გრიფენს დიდი ხნის საქმიანი კავშირები აქვს ყაზახეთთან. კერძოდ, მან მოაგვარა ცნობილი კომპანია „შევრონის" 20-მილიარდიანი კონტრაქტი, რომლის თანახმად, ყაზახეთის დასავლეთში მდებარე გიგანტური თენგიზის ნავთობსაბადოების აქციების ნახევარი ამერიკულ კომპანიას გადაეცა.

უცხოეთის ბიზნესმენებში გრიფენი ცნობილია, როგორც „მისტერ ყაზახეთი". იგი ამავე დროს ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ახლო მრჩეველია. მან მოაწყო ნაზარბაევის პირველი ვიზიტი ვაშინგტონში 1992 წელს, როცა ყაზახეთს იქ ჯერ საელჩოც არ ჰქონდა გახსნილი. მას შემდეგ თეთრი სახლი ნაზარბაევს განიხილავს, როგორც ამერიკის ფასეულ მოკავშირეს და თუმცა ბერმუდისა და ვირჯინიის კუნძულები ყაზახეთის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია რუსეთის შემდეგ, ამერიკის ხელისუფლება ამას ყურადღებას არ აქცევს. ეს კუნძულები მეტისმეტად „ლიბერალური" საბანკო კანონმდებლობით არის ცნობილი.

*მედია-ნიუსი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.




# სამხედრო ექსპერტების აზრი ბაღდადის ოპერაციის შესახებ

*შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის თქმით, აშშ-ის შეიარაღებული ძალები ბრძოლებს უკვე ბაღდადში აწარმოებენ. გთავაზობთ თავდაცვის სფეროს ანალიტიკოსთა მოსაზრებებს ამერიკელთა სამხედრო წინსვლის შესახებ.*



*კოალიციის ტანკი ბაღდადის ქუჩებში*

**ენდრიუ ბრუკსი, სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, ლონდონი:**

"ჩანს, რომ მათ (ამერიკელებს) შესაბამისი სადაზვერვო მონაცემები აქვთ, რომელთა თანახმად, დარწმუნებულნი არიან, რომ მინიმალური წინააღმდეგობა შეხვდებათ, ამიტომ წინ წაწევა გადაწყვიტეს".

"შესაძლოა, ეს ომი ძალიან მალე დამთავრდეს მას შემდეგ, რაც ბაღდადს, რეჟიმის სიმბოლოს, აიღებენ. თუ ერაყელები საკუთარ დედაქალაქს არ იცავენ, მაშინ რის დაცვას აპირებენ?"

"აღსანიშნავია, რომ ერაყელ სამხედროებს არაფერი გაუკეთებიათ. არმია, როგორც ჩანს, სამოქალაქო მოსახლეობაში გაერია".

**გენერალ მაიორი სერ პატრიკ კორდინგლი, 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს ბრიტანეთის "უდაბნოს ვირთხების" მეთაური:**

"რასაც ჩვენ ამჟამად ვუყურებთ, წარმოადგენს ამერიკელთა მცდელობას, გადაამოწმონ ინფორმაცია, რომელიც მათ აქვთ. არ მგონია, რომ ეს გადამწყვეტი შეტევაა. შესაძლოა, იყოს კიდეც... მაგრამ უფრო მგონია, რომ ისინი ახლა დეტალურ ინფორმაციას აგროვებენ".

"მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ომი ხანმოკლე იქნებოდა, მაგრამ ომში ხშირია სიურპრიზები და მალე გაირკვევა, ამგვარი სიურპრიზები მოხდება თუ არა".

**ჟან-ვინსენტ ბრისე, პარიზში არსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიის კვლევის ინსტიტუტი:**

"მე არ ვფიქრობ, რომ ეს გასაკვირი იყოს (ამერიკელთა წინსვლა), რადგან ჩვენ ვიცოდით, რომ ერაყელები ქალაქის გარეთ მათ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ რესპუბლიკური გვარდია მთლიანად განადგურებულია".

"ახლა ამერიკელებს ბაღდადზე კონტროლის დამყარება მოუწევთ. მათ ისე უნდა დაიკავონ ბაღდადი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მისაღები იყოს, ანუ დიდი მსხვერპლისა და ნგრევის გარეშე".

"თუ წინააღმდეგობა იქნება, მაშინ ნახევარი ბაღდადის განადგურების გარეშე ძალზე რთული იქნება ქალაქის აღება. მე მაინც ვფიქრობ, რომ ბაღდადში წინააღმდეგობა მაინც არსებობს".

"ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გასტანს წინააღმდეგობა, მაგრამ მისი დაძლევა უცაბედად მოხდება".

"მან (აშშ-მ) ზურგს უკან მრავალი დაუპყრობელი ადგილი დატოვა და, სამხედრო თვალსაზისით, ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა. ამგვარად, არსებობს საფრთხე, რომ კოალიციაზე უკნიდან იერიში მიიტანონ".

**ტიმ რიპლი, თავდაცვისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შემსწავლელი ცენტრი, ლანკასტერის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო:**

"ეს უფრო ფსიქოლოგიურ ომში გამოცდაა. რეჟიმი ამტკიცებს, რომ ამერიკელები ბაღდადს ვერ მიუახლოვდნენ. ასე რომ, ახლა ამერიკელები ქალაქის შუაგულში ელვისებურ რეიდს ახორციელებენ, რათა დაუმტკიცონ ხალხს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ ატყუებდნენ. სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი წვეთი იქნება, რომელიც წინააღმდეგობას გატეხს..."

"ეს გადამწყვეტი შეტევაა იმ თვალსაზრისით, რომ ომი ფსიქოლოგიური ნიშნით მიმდინარეობს. მას შემდეგ, რაც საბრძოლო შემართებას გატეხავ, ომს ეფექტურად მოიგებ. იმუშავებს თუ არა ეს ამჯერად, სხვა საკითხია. ჩვენ ამას რამდენიმე საათში დავინახავთ".

**პაველ ფელგენჰაუერი, რუსი სამხედრო ექსპერტი:**

"ეს გადამწყვეტი შეტევა არ არის, მაგრამ ამით ერაყის რეჟიმის აგონია დაიწყო".

"მოსული დაეცემა, კირკუკი დაეცემა, მათ სხვებიც მიჰყვებიან და ჩვენ ერაყის ხელმძღვანელობის დაქსაქსვის მოწმენი გავხდებით".

ამერიკელებმა თავისი სტრატეგიით ყველას გაბრიყვება შეძლეს, როდესაც განაცხადეს, რომ მათ ომის დასასრულებლად დამატებითი ძალები სჭირდებათ. ეს სრული ნონსენსი იყო. მათ წინსვლა არ შეუჩერებიათ, ხოლო ერაყელთა წინააღმდეგობა აბსოლუტურად არაეფექტური იყო. ამ ელვისებური შეტევით ამერიკელებმა ერაყელებს სიურპრიზი მოუწყვეს".

**ვიქტორ ბორონეცი, რადიო "ეხო მოსკვის" სამხედრო ექსპერტი:**

"არ მგონია, რომ ამერიკელები და ბრიტანელები სულელები იყვნენ და ჩვენი სამწუხარო გამოცდილება არ გაითვალისწინონ, როდესაც ვცდილობდით გროზნოს აღებას. მათ უკვე განაცხადეს, რომ ისინი ქალაქს პატარ-პატარა ჯგუფებით აიღებენ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს გამოცდილებას აუცილებლად გაითვალისწინებენ. ამ ჯგუფებში შედიან ჯავშანტექნიკით აღჭურვილი ჯგუფებიც და საზღვაო ქვეითებიც. ისინი მეთოდოლოგიურად შევლენ ქალაქში და მას უბან-უბან დაიკავებენ".

*"როიტერი"*

# ეკრანთან მიჯაჭვული ბუში

პირველი გვერდიდან

აშშ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, პოლ ვულფოვიცის სიტყვებით, "პრეზიდენტი ძალიან კარგ შეკითხვებს სვამს, მაგრამ ომის მიკრომენეჯმენტის საკითხებს გაურბის". ბუშს "აღიზიანებს" საინფორმაციო საშუალებებში გამოთქმული კრიტიკა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საომარი კამპანია, თუმცა, როგორც ამბობენ - გაცილებით ნაკლებად, ვიდრე წარუმატებლობა დიპლომატიურ ასპარეზზე გაერო-ს უშიშროების საბჭოში. მისი მეგობარი ბეტსი ამბობს, რომ პრეზიდენტი დაღუპული და ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცების ბედზე დარდობს. ის ფიქრობს: "იქნებ, რაიმე არასწორად გავაკეთე?" მაგრამ შემდეგ თვითონვე პასუხობს, რომ "არა"... ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საკუთარ გადაწყვეტილებაში დაეჭვებული ჯორჯი ვნახე - ეს იყო მრავალი წლის წინ, როდესაც მან, ბეისბოლის გუნდის "ტექსას რეინჯერსის" მფლობელმა, სემი სოსა გაყიდა (სოსა შემდგომში წარმატებული ბეისბოლისტი გახდა - მ.ს.).

ჯორჯ ბუშ-უმცროსი იმ თანამდებობაზე რომ დარჩენილიყო, მაშინ ქვეყნის, უფრო სწორად კი - "ტექსას რეინჯერსის" დანაკარგები მხოლოდ ძველი მეგობრით - სემით შემოიფარგლებოდა!..

როდესაც 19 მარტს მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება ერაყში ომის დაწყების შესახებ, ბუშმა გენერალ ფრენკსთან და საველე მეთაურებთან ვიდეოკონფერენცია მოაწყო. პრეზიდენტმა ჰკითხა მათ - ყველაფერი თუ გააჩნიათ გამარჯვებისთვის? მიიღო რა დამადასტურებელი პასუხი, ბუშმა გასცა განკარგულება, რომელიც დაასრულა სიტყვებით: "ღმერთი ჰფარავდეს ჩვენს არმიას!" გენერალმა ფრენკსმა უპასუხა: "ღმერთი ჰფარავდეს ამერიკას!" ამ მომენტში კოლინ პაუელი ოდნავ შეეხო პრეზიდენტის ხელს. "მან ეს გააკეთა იმიტომ, რომ იგი ერთადერთი ადამიანი იყო სიტუაციათა ოთახში, რომელსაც დენთის სუნი უყნოსია".

იმ დაწყევლილი დღიდან, 19 მარტიდან, დენთის ყნოსვა უწევთ ასობით ათას ამერიკელს და მილიონობით ერაყელს, ქრისტეს მიერ და ალაჰის მიერ დალოცვილს, თუმცა არც ერთს და არც მეორეს ეს ომი არ სურდა...

# კოალიციის ტანკები ბაღდადში არიან

პირველი გვერდიდან

იმ დროს, როდესაც საერთაშორისო სააგენტოებმა მსოფლიოს აუწყეს ამერიკული ტანკების ბაღდადში შესვლის შესახებ, ბაღდადის ცენტრში პრესკონფერენცია გამართა ერაყის ინფორმაციის მინისტრმა მოჰამედ ალ-საჰაფიმ. მან ჟურნალისტებს აბსოლუტურად საწინააღმდეგო ინფორმაცია აუწყა, რაც პრინციპში გასაკვირი არც უნდა იყოს. ალ-საჰაფის განცხადებით, ერაყის არმიამ **"სადამის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან ინტერვენტების გაძევება შეძლო და ამჟამად ერაყელები აშშ-ის ძალებს უკან მისდევენ."** ალბათ, აქ კომენტარი ზედმეტია.

**"ამერიკელები იმდენად სულელები აღმოჩნდნენ, რომ დღეს დესანტიც გადმოსხეს ბაღდადის სამხრეთ რაიონებში, რომელიც ჩვენმა ძალებმა გაანადგურეს,"** განაცხადა ინფორმაციის მინისტრმა და ამით, პრაქტიკულად, კომენტარიც გაუკეთა გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას ბაღდადში ამერიკელთა შესვლის თაობაზე.

საინტერესოა, თუ რა ზომებს მიმართავს პრეზიდენტი ჰუსეინი და მისი გარემოცვა.

როგორც ცნობილია, გუშინწინ ერაყის პრეზიდენტი ორი წლის მანძილზე პირველად გამოჩნდა ბაღდადის ქუჩებში და თანამემამულეებს შეხვდა. მან ერაყელებს ბრძოლისაკენ მოუწოდა და გამარჯვების გარდაუვალობაში დაარწმუნა. თუმცა, ამ დროს კოალიციის ტანკები ჯერ კიდევ ქალაქის გარეთ იმყოფებოდნენ. გუშინ კი ამერიკულმა ტანკებმა ბაღდადის საზღვარი გადაკვეთეს და ქალაქში შევიდნენ. როგორც ჩანს, მათ არც თუ ისე დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ. თუმცა, გუშინვე გაჩნდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, სადამმა კოალიციის ნაწილებს წინ ხალხის "ცოცხალი ტალღა" დაახვედროს და ამით ცადოს მათი შეჩერება. ასევე საუბრობენ იმის თაობაზე, რომ სადამი აპირებს თავისი არმიის გაყვანას ქალაქის ჩრდილოეთ გარეუბნებში, რის შემდეგაც ბაღდადის ცენტრში შესული ანგლო-ამერიკული ძალების წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებს. ეს კი, რასაკვირველია, ისევ მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვევს მასშტაბურ მსხვერპლს. მოკლედ, ჯერჯერობით, არავინ იცის, თუ რას მოიმოქმედებს სადამი. არც ის არის გამორიცხული, რომ მან ქალაქი უბრძოლველად დატოვოს და გაუჩინარდეს.




# „გარდიანი": შესაძლოა, პუტინი ტრიბუნალს გადაეცეს

*ევროპის საბჭო ჩეჩნეთში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად და დამნაშავეების დასასჯელად ტრიბუნალის შექმნას მოითხოვს, მოსკოვი კი ჩეჩნეთში მებრძოლი რუსი სამხედროებისა და ჩეჩენი მებრძოლებისათვის ამნისტიის გამოცხადებას აპირებს.*

რევაზ ბახტაძე



*ვლადიმირ პუტინი.*

ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ აუცილებელია გაერო-მ შექმნას ჰააგაში არსებული სამხედრო დამნაშავეთა ტრიბუნალის მსგავსი ორგანო, რათა ის რუსი და ჩეჩენი ლიდერები გაასამართლონ, რომლებიც მასობრივ მკვლელობებსა და ადამიანთა გატაცებაში სისტემატურად მონაწილეობდნენ.

ევროპის საბჭომ აღნიშნული განცხადება ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში სამგზავრო ავტობუსის აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთა, რომლის დროსაც ექვსი მოკვდა, ხოლო რამდენიმე ადამიანი დაიჭრა.

ჩეჩენი მებრძოლები სამოქალაქო პირებს მოსკოვთან თანამშრომლობის გამო კლავენ; ჩვეულებრივ მოქალაქეებზე, როგორც "პოტენციურ ტერორისტებზე" თავდასხმას რუსეთის შეიარაღებული ძალებიც აწარმოებენ. ეს შიშის ატმოსფეროს ქმნის, რომლის აღმოფხვრას ევროპის საბჭო ტრიბუნალის შექმნით ცდილობს. ევროპის საბჭოს ინიციატივის კომენტირებისას გავლენიანმა ბრიტანულმა "გარდიანმა" გამოთქვა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, საგულდაგულო გამოძიების შემთხვევაში ტრიბუნალს რუსეთის მთავარსარდალი, პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გადაეცეს.

2 აპრილს ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, "თუ ადამიანის უფლებების დარღვევაში დადანაშაულებული პირები სასამართლოს წინაშე არ წარდგებიან და ჩეჩნეთში დაუსჯელობის სინდრომი არ შეიცვლება, მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობამ ტრიბუნალის დაარსების შესაძლებლობა უნდა განიხილოს, რომელიც სამხედრო დამნაშავეებს გაასამართლებს".

ახლახან მოსკოვმა რეფერენდუმი ჩაატარა ჩეჩნეთში, სადაც, კრემლის მტკიცებით, მოსახლეობის 80 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა რუსეთის ფედერაციაში დარჩენას.

26 მარტს რადიო "ეხო მოსკვისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჩეჩნეთის პრომოსკოვური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აჰმედ კადიროვმა განაცხადა, რომ "ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის მიღებას, "ჩვეულებრივი ოპოზიციონერები" კი არა, მტრები არიან."

კადიროვი ნაწილობრივ დაეთანხმა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ბრალდებებს და აღნიშნა, რომ ჩეჩენი მოქალაქეების გატაცებაში ხშირად ფედერალური ძალები არიან დამნაშავენი. კადიროვის აზრით, ჩეჩნეთში რომ არ მოხდეს ერთმანეთის ფუნქციების გადაფარვა და ვითარება უკეთ გაკონტროლდეს, საჭიროა ერთი ძალოვანი სტრუქტურის დატოვება. მისი აზრით, სასურველია, რომ ჩეჩნეთში შინაგან საქმეთა სამინისტრო დარჩეს.

რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ ჩეჩნეთის პრობლემის მოსაგვარებლად კრემლი რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას გეგმავს, მათ შორის - სახელმწიფო დუმაში სულ მცირე ორი კანონპროექტის შეტანას ჩეჩნეთში ამნისტიის გამოცხადების თაობაზე. მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ამნისტია ორივე მხარეს შეეხოს – იმ ჩეჩენ მებრძოლებს, რომლებიც ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს და რუსეთის შეიარაღებულ ძალებსაც, რომლებმაც სამოქალაქო პირების წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინეს. რუს სამხედროთა შორის, სავარაუდოდ, პოლკოვნიკი იური ბუდანოვიც იქნება, რომელიც 18 წლის ჩეჩენი გოგოს მკვლელობაშია ბრალდებული. რუსმა მოსამართლეებმა ბუდანოვს გოგონას მოკვლამდე მისი გაუპატიურების ბრალდება მოუხსნეს. რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება შამილ ბასაევისათვის ამნისტიას კატეგორიულად გამორიცხავს. მას უამრავი ტერორისტული აქტის განხორციელებაში ადანაშაულებენ.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამნისტიის შესახებ ლაპარაკი წამოიწყო 23 მარტს, ჩეჩნეთში რეფერენდუმის ჩატარებამდე. ვლადიმირ პუტინმა თავის საჯარო გამოსვლებში ამნისტია რეფერენდუმამდე და მის შემდეგაც რამდენჯერმე ახსენა.

ამავდროულად, რუსეთის ადამიანის უფლებათა კომისარმა ოლეგ მირონოვმა გავრცელებული მოსაზრება დაადასტურა, რომ ამნისტია არა მარტო ჩეჩენ მებრძოლებს, არამედ იმ სამხედრო მოსამსახურეებსაც უნდა შეეხოს, რომლებმაც სამოქალაქო პირების წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინეს. ამავე აზრს იზიარებს ჩეჩნეთში გამოცხადებული წინა ორი ამნისტიის ინიციატორი, დუმის დეპუტატი ვიქტორ ილიუხინიც.

"ამნისტია კონფლიქტის ორივე მხარეს უნდა შეეხოს - ჩეჩნებსაც და რუს სამხედროებსაც, ასევე - პოლკოვნიკ იური ბუდანოვსაც. ჩვენ არ უნდა დავიმორცხვოთ, როდესაც საქმე მშვიდობას ეხება", - განუცხადა ილიუხინმა რუსულ ინტერნეტ-გამოცემას "გაზეტა. რუ-ს". "რაც შეეხება ამნისტიის მიზანშეწონილობას, თუ მეამბოხეები ათ თოფს მაინც დადებენ, ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე სიცოცხლე გადარჩენილია", - დასძინა მან.

სამართალი

# სააღსრულებო სისტემა ახალი კანონით იხელმძღვანელებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა სტრუქტურაში რეფორმების ჩატარების აუცილებლობის შესახებ კარგა ხანია საუბრობს. ამჟამად კი უკვე მზად არის კანონპროექტი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც მსოფლიო ბანკისა და ევროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა.

**"აქამდე ჩვენ ვხელმძღვანელობდით 1999 წელს მიღებული კანონით. თუმცა, ამ კანონის მიღების შემდეგ მასში ძალზე ბევრი ცვლილება შევიდა; ამის გამო შეიქმნა გარკვეული წინააღმდეგობები. შეუძლებელი გახლდათ, რომ ამას არ ემოქმედა თვით აღსრულების ეფექტურობაზე**, - ამბობს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, **- ამასთან, ახალი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში,**

**აღმასრულებლებს მეტი დამოუკიდებლობა ენიჭებათ. გამოირიცხება მიკერძოება და სუბიექტივიზმი. და კიდევ - ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ამ კანონპროექტშია გათვალისწინებული. ეს გახლავთ აღმასრულებლის მატერიალური სტიმულირების ფორმები. რაც უფრო დაინტერესებული იქნება აღმასრულებელი ამა თუ იმ თანხის ამოღებით, მით უფრო სწრაფად და მონდომებით გააკეთებს ამას. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ეს ფაქტორი გაგვეთვალისწინებინა და ამის გამო კანონპროექტში ჩავდეთ მექანიზმი, რომლის თანახმადაც, აღმასრულებელს ამოსაღები თანხის გარკვეული პროცენტი ეკუთვნის. ასეთი რამ სხვადასხვა სტრუქტურებში არსებობს და მეტ-ნაკლებად კარგად მუშაობს"**.

ახალმომზადებულ კანონპროექტს კიდევ ერთი სიახლე შეაქვს სააღსრულებო დეპარტამენტის საქმიანობაში. მასში გათვალისწინებულია მოვალეთა რეესტრის წარმოება. აღნიშნული ინსტიტუტის დამკვიდრებით დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირების შესახებ, რომლებიც გადახდისუუნარონი არიან.

**„ეს ნოვაცია განსაკუთრებით აქტუალურია ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების საქმეში, ვინაიდან იძლევა ბიზნესპარტნიორის ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების ეფექტურ საშუალებას“**, — აცხადებს აგულაშვილი.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს მოვალისათვის დაკისრებული თანხის ნებაყოფლობით გადახდისთვის დადგენილი ხუთდღიანი ვადის ორჯერ გაზრდას.

სამაგიეროდ, მოვალის მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს მის მიმართ შეეძლება ადმინისტრაციული სახდელების გამოყენება და დაპატიმრებაც კი.

კანონპროექტი კადრების მომზადების პრობლემასაც ითვალისწინებს და თუ აქამდე, მოქმედი კანონის შესაბამისად, სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობა შეიძლებოდა დაეკავებინა, უბრალოდ, უმაღლესი განათლების მქონე პირს, წარმოდგენილი პროექტით, აღმასრულებლის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა უმაღლესი იურიდიული განათლება.

**"კანონპროექტის შემუშავებისას ჩვენ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება გავითვალისწინეთ; მაგალითად, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის, ხორვატიის, რუსეთისა და გერმანიის. ალბათ, ესეც გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმისა, რომ უცხოელმა ექსპერტებმა კანონპროექტის ძირითადი დებულებები მოიწონეს"**, - განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

კანონპროექტის შემუშავების პროცესში სააღსრულებო დეპარტამენტის დელეგაცია იმყოფებოდა ქალაქ სტრასბურგში, სადაც უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით კანონპროექტი მუხლობრივად განიხილეს. ექსპერტებმა, ძირითადი დებულებების მოწონების გარდა, გარკვეული სახის შენიშვნებიც გამოთქვეს.

**"ჩვენ ეს შენიშვნები კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისას გავითვალისწინეთ"**, - ამბობს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

*"24 საათი"*

# შეწყალების კომისია ნაომარი პატიმრების საკითხს ვერ მოაგვარებს

ხონის კოლონიაში მოშიმშილე 43 ყოფილი მეომარი პატიმარი, რომლებმაც შეწყალების მოთხოვნით შიმშილობის აქცია ხუთშაბათს დაიწყეს, სახალხო დამცველთან ნანა დევდარიანთან და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილესთან რუსუდან ბერიძესთან შეხვედრას ითხოვს.

სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის კახა კახიშვილის თქმით, მოშიმშილე პატიმრები უკვე მოინახულეს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა მაია ხასიამ და სხვა წარმომადგენლებმა. მოშიმშილეები გადაყვანილნი არიან ცალკე ოთახში, სადაც ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

როგორც ცნობილია, მოშიმშილეები მოითხოვენ, რომ ხელახლა გადაიხედოს მათი საქმეები და მათზეც გავრცელდეს პარლამენტისა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ მიღებული 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომელიც მხოლოდ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე მეომრებს შეეხო.

როგორც კახი კახიშვილი აცხადებს, პატიმრებს დეპარტამენტის მხრიდან პრობლემები არ ექმნებათ და მათი საქმეები უკვე მეოთხე თვეა, რაც შეწყალების კომისიაშია გადაგზავნილი, საიდანაც პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

თავის მხრივ, სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი ამბობს, რომ აღნიშნული დადგენილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ყველა მსჯავრდებულზე უნდა გავრცელებულიყო, რადგან "ცალმხრივი შერიგება, როგორც წესი, არ არსებობს".

იგი ეჭვობს, რომ მომავალში შეწყალების კომისიის მეშვეობით ამ ღონისძიების განხორციელება შესაძლებელი იქნება, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება აღნიშნული ორგანოს დებულებას.

სახალხო დამცველის აზრით, ზემოხსენებული კატეგორიის მსჯავრდებულების შეწყალება გამონაკლისის სახით უნდა მოხდეს. პარლამენტმა უნდა მიიღოს 20 აპრილის მსგავსი დადგენილება, მის საფუძველზე გადაიხედოს ყველა მეომარი პატიმრის საქმე და შემდეგ გადაწყდეს მათი გათავისუფლების ან მისჯილი წლების შემცირების საკითხი.

სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში ამჟამად სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის სულ 250-მდე ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს.

*პრაიმ-ნიუსი*

# ნარჩემაშვილს ეკონომიკური დანაშაული სხვისთვის არ ეთმობა

საქართველოს შს მინისტრს კობა ნარჩემაშვილს ეკონომიკური დანაშაულის გამოძიების უფლების დათმობა არ სურს და ამ ფუქციის ფინანსური ლეგიონისთვის გადაცემის წინააღმდეგია.

ნარჩემაშვილის აზრით, ეკონომიკური დანაშაულის გამოძიების უფლების ფინანსური ლეგიონისთვის გადაცემა კომპეტენციათა მონოპოლიზაციაა, რომელიც ქვეყანას კარგ შედეგებამდე არ მიიყვანს.

**"სამი წლის წინ ვაცხადებდი, რომ საგანგებო ლეგიონი ეფექტურად ვერ იმუშავებს და ასეც მოხდა, თუმცა ამაზე პასუხი არავინ აგო. იგივე პროგნოზი შემიძლია გავაკეთო ფინანსურ ლეგიონთან დაკავშირებითაც, რომელსაც ფინანსურ სფეროში სრული კონტროლის დამყარება სურს"**, - განაცხადა ნარჩემაშვილმა დღეს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელზეც ძალოვანი უწყებების რეფორმირების ფარგლებში ფინანსური ლეგიონის შექმნის პროექტი განიხილებოდა.

მან აღნიშნა, რომ სისტემის მონოპოლიზაციის შემთხვევაში მთავრობა ვერასოდეს მოძებნის დამნაშავეს და ვერავის აგებინებს პასუხს ამ სტრუქტურების არაეფექტურ მუშაობაზე, ამიტომ აუცილებელია, ეკონომიკური დანაშაულის გამოძიების უფლება სხვა სტრუქტურებსაც დარჩეთ.

ნარჩემაშვილმა შეახსენა შეკრებილთ, რომ შს სამინისტროს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული პროექტი უკვე მომზადებულია და იგი გადაეგზავნა სახელმწიფო კანცელარიასა და ფინანსთა სამინისტროს.

*ინტერ-პრესი*

# ერთი ქვითარი - ახალი სერვისი გადამხდელებისათვის

*ქალაქის მერია მოსახლეობისთვის გადასახადების დაბეგვრის მექანიზმის გამარტივებაზე იწყებს ფიქრს. ვიცე-პრემიერი გიორგი კარბელაშვილი კი შესაბამისი ინიციატივით გამოდის. ამ ინიციატივის მიხედვით, ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის, ტელეფონის სააბონენტოსა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ტარიფები ერთ ქვითარზე იქნება თავმოყრილი. შესაბამისად თბილისელებს ყველა სახის კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდა, ერთ ადგილას მოუწევთ.*

ეთერ მამულაშვილი

დაახლოებით მსგავსი ინიციატივით ოთხი თვის წინათ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო გამოვიდა. ამის შესახებ “24 საათი” თავის დროზე დეტალურად წერდა. მაშინ მინისტრის დავალებით შეიქმნა სპეციალური მუშა ჯგუფი, რომელსაც სამ თვეში შესაბამისი პროექტის მომზადება დაევალა. ამ წამოწყებით, სამინისტრო, პირველ რიგში, დაინტერესებული იყო მოსახლეობიდან ბუნებრივი აირის გადასახადების ამოღების გაზრდაში, რადგან იმ პერიოდში აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთვის “თბილგაზის” მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. მას მერე, რაც “თბილგაზი” მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა, სამინისტრომ თითქმის მომზადებული პროექტი გვერდზე გადადო და ხელებიც დაიბანა.

ვიცე-პრემიერის გიორგი კარბელაშვილის დავალებით მერიის შესაბამისმა სამსახურებმა იგივე ინიციატივაზე ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით ცოტა ხნის წინათ დაიწყეს მუშაობა.

კომუნალური გადასახადების ერთი ქვითრით გადახდა ბევრ ქვეყანაში კარგად აპრობირებული მეთოდია. ქალაქის ვიცე-პრემიერი დარწმუნებულია, რომ ამ სერვისის საქართველოში დანერგვა ბევრ პრობლემატურ საკითხს ერთდროულად გადაწყვეტს. კარბელაშვილის აზრით, პირველ რიგში, გაიზრდება ბუნებრივი აირის, წყლისა და ნაგვის გატანის გადახდის მაჩვენებელი, მოწესრიგდება აღრიცხვიანობის სისტემა და რაც მთავარია, ხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში კორუფციის მასშტაბები საგადასახადო სფეროშიც, გარკვეულწილად შემცირდება. ამაში ხეირს მომხმარებელიც აუცილებლად ნახავს. კომუნალური გადასახადებისთვის თვეში რამდენჯერმე სახლიდან გასვლა და სხავადასხვა ადგილას სირბილი, შესაძლოა, მალე წარსულს ჩაბარდეს.

პროექტის მიხედვით ყოველი თვის ბოლოს თბილისელები მიიღებენ ერთ ქვითარს, სადაც იქნება თითოეული კომუნალური მომსახურებისთვის ცალ-ცალკე გრაფა შესაბამისი ტარიფებით. ქვითარზე აღნიშნული მაჩვენებლის გადახდას თბილისელები შესაბამისი რაიონის საბანკო დაწესებულებებში ან “ეი-ი-ეს თელასის” ბიზნეს ცენტრებში შეძლებენ.

პროგრამის განსახორციელებლად, პირველ რიგში, საჭიროა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და მოწესრიგება. “ეი-ი-ეს თელასთან” შედარებით “თბილგაზს” და “თბილწყალკანალს” საკუთარი აბონენტების რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გააჩნიათ. “თბილწყალკანალში” დარწმუნებულები არიან, რომ დღეს რეალურად მათი მომხმარებლი, ოფიციალურად აღრიცხულზე ორჯერ მეტია. ამიტომაც, საქმის დასაჩქარებლად და გასაიოლებლად, ვიცე-პრემიერის კარბელაშვილის მონაწილეობით დღეს აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს “ეი-ი-ეს თელასთან”, ამ უკანასკნელის მონაცემთა ბაზის გამოყენებისთვის. ამ სამსახურისთვის ელექტროგამანაწილებელი კომპანია სპეციალური ხელშეკრულების გაფორმების და გარკვეული საფასურის გადახდას ითხოვს. დღეისათვის ამერიკულ კომპანიას სამომხმარებლო ქვითრის გამოწერისა და გავრცელების საუკეთესო მექანიზმები აქვს. “ეი-ი-ეს თელასი” ამ ტიპის მომსახურების გაწევისათვისაც მზად არის.

პარალელურად მოლაპარაკება მიმდინარეობს “თბილწყალკანალსა” და “თბილგაზთან”. მათი პოზიცია ქალაქის ვიცე-პრემიერის ინიციატივასთან დაკავშირებით უკვე ცნობილია. ხსენებული დაწესებულებები ერთი ქვითრის იდეის მომხრე არიან და იმედს გამოთქვამენ, რომ ამ გზით შემოსული თითოეული თეთრი დანიშნულ ადგილამდე უპრობლემოდ მივა.

თუ როდიდან ექნებათ თბილისელებს მსგავსი სერვისის საშუალება, ეს საკითხი იმ კვირის დასაწყისშივე გაირკვევა. ქალაქის ვიცე-პრემიერმა გიორგი კარბელაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"თუკი ყველაფერი კარგად იქნება, ერთი ქვითრით მომსახურება უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება".**

# საკრებულო „ლეჩკომბინატის“ საკითხს მეორედ შეისწავლის

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია შპს “სამკურნალო კომბინატის” კოლექტივის ნაწილსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის კარგა ხნის წინათ დაწყებული კონფლიქტის მიზეზებს, თითქმის, ერთი თვე სწავლობდა, მაგრამ საკითხის გარკვევა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

კონფლიქტის შესახებ “24 საათი” თავის დროზე წერდა, ამიტომ მის მიზეზებს მოკლედ შეგახსენებთ: კონფლიქტი 2001 წლის აგვისტოდან დაიწყო, როცა მერიის ხელმძღვანელობამ საავადმყოფოს სამეთვალყურეო საბჭო დაუნიშნა. კოლექტივის ექიმთა ერთი ნაწილი, დირექტორის მოადგილის, თემურ თევზაძის თაოსნობით, საბჭოს სამივე წევრის შეცვლას მათი დანიშვნის დღიდანვე ითხოვს. “ისინი საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული შპს-ებისა და მერიის ქონების მართვის სამმართველოს წარმომადგენლები არიან; კომბინატის ბედი არც ერთს არ ადარდებს და ჩვენ დაწესებულებას აკოტრებენ,” – აცხადებენ სამეთვალყურეო საბჭოს მოწინააღმდეგენი. შარშან კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა, როცა სამეთვალყურეო საბჭომ საავადმყოფოს ძველი დირექტორი ახლით შეცვალა. ექიმებმა ერთი თვის წინ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა მოსთხოვეს. კომისიამ “სამკურნალო კომბინატში” არსებული მდგომარეობა შეისწავლა და ყურადღება საავადმყოფოს შემოსავლებსა და ზარალზე გაამახვილა. საავადმყოფოს ახალი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მისი მოსვლის შემდეგ დაწესებულების ზარალი 40 ათასი ლარით შემცირდა. ამჯერად მდგომარეობას საკრებულოს სარევიზიო კომისია შეისწავლის, რომელიც - თუ კოლექტივის მოთხოვნა სამართლიანი აღმოჩნდა - მერიის ხელმძღვანელობას საბჭოს წევრების შეცვლას მოსთხოვს.



*ექიმები საკრებულოს იმედზე არიან.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ალსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი: იჯარით გაცემული 4 143 კუბური მეტრიდან საავადმყოფოში არც თუ დიდი თანხა (ყოველწლიურად 28 964 ათასი ლარი) შედის - ანუ კვადრატული მეტრი, საშუალოდ, 2 ლარად არის გაქირავებული. ამაზე უკვე მერიის ქონების მართვის სამმართველომ უნდა აგოს პასუხი.

# დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინდივიდუალური აღრიცხვა დაიწყო

სახელმწიფო დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 2003 წლის პირველი იანვრიდან პენსიონერთა, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვა დაიწყო. აღრიცხვის წესი საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №507 ბრძანებულებით განისაზღვრა და მისი დასრულება ერთ წელიწადში დაიგეგმა. უკვე 2004 წლიდან, ორი წლის განმავლობაში, ქვეყანაში მოსახლეობის სრული აღრიცხვა უნდა განხორციელდეს. მომზადებულია ოთხი სახის სპეციალური სადაზღვევო ფორმა, რომელიც მოსახლეობამ უნდა შეავსოს. დასაქმებულები სადაზღვევო ფორმას ადგილზე ორგანიზაციადაწესებულებებში შეავსებენ, პენსიონერების მონაცემები კი ფონდში უკვე არსებული მონაცემების მიხედვით შეივსება. სადაზღვევო პლასტიკური ბარათი უფასოა. ახალ პირობებში, სავალდებულო სოციალურ დაზღვევას ექვემდებარებიან: საპენსიო ასაკს მიღწეულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალდაკარგულები, დროებით შრომისუუნაროები, ორსულები და მშობიარეები. ეს ფორმა ითვალისწინებს ასევე ჯანმრთელობის დაცვის სადაზღვევო შემთხვევებსაც - სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით გათვალისწინებული დაავადებების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. დაწყებული ცვლილებების - პერსონიფიცირებისა და ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათების მინიჭების მთავარ მიზანს - სადაზღვევო გასაცემლის დანიშვნის პირობების გაადვილება, დაზღვეულთა ზუსტი აღრიცხვა და თანხის სწორად დარიცხვის პროცესის გაკონტროლება წარმოადგენს. ამასთან, საკუთარ ანგარიშზე არსებული თანხის გაკონტროლება ყველა დაზღვეულს ნებისმიერ დროს შეეძლება.

*“24 საათი”*

# ტუბდისპანსერი ახალ შენობაში გადავა

*საერთაშორისო ორგანიაცია "Merlin" საქართველოში ახორციელებს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების დახმარების პროგრამას. შიდა ქართლში ამ დაავადების სამკურნალოდ ფუნქციონირებს შპს "მკურნალი" (გორის ტუბდისპანსერი), რომელიც კოორდინაციას უწევს ხაშურის, ქარელისა და კასპის ტუბკაბინეტებს.*

ვასილ გულეური

*გორიდან*

როგორც შპს "მკურნალის"დირექტორმა მანანა ღონღაძემ გვითხრა, ჰუმანიტარული პროგრამის მიზანი თავდაპირველად ლაბორატორიული აღჭურვილობის გაძლიერება იყო. შენობა, რომელშიც ამჟამად გორის ტუბდისპანსერი მდებარეობს, საკმაოდ მოძველებული და შეუფერებელია, ამიტომ მხოლოდ ლაბორატორიული აღჭურვილობა ამ სამსახურის მუშაობის გაუმჯობესებისთვის საკმარისი არ იქნებოდა. **“ჩვენი სავალალო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რომ ნახეს, გადაწყვიტეს, პირველ ეტაპზე მოეხდინათ რეაბილიტაცია**, - აღნიშნა მანანა ღონღაძემ. – **უნდა მომხდარიყო შერწყმა რომელიმე, საერთო პროფილის საავადმყოფოსთან. შეირჩა გორის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს შენობა, რომლის ინფექციური განყოფილების პირველ სართულზე უკვე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. ასევე გარემონტდა რაიონული კაბინეტებიც.”**

ოფიციალური მონცემებით, 2002 წელს შიდა ქართლში ტუბერკულოზით დაავადებული 437 ავადმყოფი იყო აღრიცხული, მაგრამ როგორც შპს "მკურნალის" დირექტორი ამბობს, ეს რიცხვი რეალური მაჩვენებლის დაახლოებით 80 პროცენტია. **"ჩვენ პასიური აღმრიცხველები ვართ, ანუ მხოლოდ იმათ აღვრიცხავთ, რომლებიც თვითონ მოდიან ჩვენთან. მაგრამ არიან დაავადებულები, რომლებიც არ მკურნალობენ და არც აღრიცხვაზე არიან."**

ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამით დაავადებულთა მკურნალობა უფასოა. მაგრამ ავადმყოფებს ექიმთან მისვლა, ალბათ, იმიტომაც უძნელდებათ, რომ გორში არ არის სტაციონარული მომსახურება. მიმდინარე პროგრამით, რომელიც 3 წელს უნდა გაგრძელდეს, გათვალისწინებულია გორში სტაციონარის გაკეთებაც, რომელიც დისპანსერის გვერდით განთავსდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი მკურნალობის პროცესის გაუმჯობესება მოხდება და ჩატარებული საქმიანობის მონიტორინგი განხორციელდება.

ინფორმაცია

## საკრებულოს მორიგი ინიციატივა

თბილისის საკრებულოს ინიციატივით "9 აპრილის" ბაღში 9 აპრილს დაღუპულთა მონუმენტი დაიდგმება, თუმცა ბაღში მონუმენტის დასადგმელი ადგილი ჯერჯერობით შერჩეული არ არის. როგორც თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა განაცხადა, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის რამდენიმე ესკიზი უკვე შექმნილია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა მონუმენტის დასადგმელი ადგილის შესარჩევად.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა დღეს საბურთალოს რაიონში, ამბროლაურის ქუჩაზე მინი - სტადიონის გახსნის შემდეგ განაცხადა, რომ: "საკრებულო შეძლებს სიცოცხლის მონუმენტის დადგმას 9 აპრილს დაღუპულთა საპატივცემულოდ, რაც ქვეყნის ხელისუფლებამ 14 წლის მანძილზე ვერ შეძლო"

საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, 9 აპრილი ოპოზიციის დღედ გამოცხადდება.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ უკვე 14 წელიწადი გავიდა და შემთხვევის ადგილზე ჯერ კიდევ დგას ქვა, რომელიც იმედს იძლევა, რომ მომავალში იმ ადგილას აღიმართება სამშობლოსთვის დაღუპულთა მემორიალი. **კავკას პრესი**

## ალბათ, ვირუსი ჩვენამდე ვეღარ მოაღწევს

როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აცხადებენ, ატიპიური პნევმონიის ეპიდემია სინგაპურში უკვე, პრაქტიკულად, დასრულებულია, მაგრამ იმისათვის, რომ ეს საბოლოოდ დადასტურდეს, საჭიროა კიდევ ორი კვირა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით სინგაპურში ეპიდემიის შედეგად დაიღუპა 5 და ინფიცირებულია 100-მდე ადამიანი.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცნობით, საქართველოში არ არის დაფიქსირებული ინფიცირების არც ერთი შემთხვევა. აქვე განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში მიიღებენ დამატებით ზომებს, რათა მოხდეს ქვეყანაში თბილისის აეროპორტიდან შემოსულ გრიპით ინფიცირებულ პირთა შემოწმება. "პროფილაქტიკური ღონისძიებები მიღებული იქნება მანამ, ვიდრე ატიპიური პნევმონიით დაავადების გავრცელების საფრთხე ბოლომდე არ იქნება აღმოფხვრილი," - განაცხადეს სამინისტროში. **კავკას პრესი**

## ქუთაისის ქუჩა აფეთქებას გადაურჩა

ქუთაისის ქუჩის მოსახლეობა გაზის გაჟონვით გამოწვეულ აფეთქებას ბეწვზე გადაურჩა. როგორც "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, ქუთაისის ქუჩაზე დიდი რაოდენობით ბუნებრივი აირი ჟონავდა და ოპერატიული რეაგირების შედეგად ბინები აფეთქებას ბეწვზე გადაურჩა.

ქუთაისის ქუჩაზე 300 მილიმეტრიანი გაზსადენი იყო დაზიანებული, გაჟონვის შედეგად გაჩნდა ცეცხლი, რომელიც დროულად იქნა ლიკვიდირებული, თუმცა აფეთქების საშიშროება რეალური იყო. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. **კავკას პრესი**

## C ჰეპატიტის განკურნების შანსი გაიზარდა

საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ინფორმაციით **C** ჰეპატიტის განკურნების შანსი ერთი ორად გაიზარდა, რაც შესაძლებელი გახდა ახალი პრეპარატის “პეგასისის” გამოსვლის შემდეგ. ეს არის პეგილირებული ინტერფერონი, რომელმაც **C** ჰეპატიტის მკურნალობაში გარდატეხა შეიტანა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე წარმოებული კომბინირებული მკურნალობა, ალფა ინტერფერონითა და რიბავირინით, 30-35 პროცენტი შემთხვევებისას იყო ეფექტური. ახალი პრეპარატის გამოჩენის შემდეგ კი სპეციალისტები ამ მოურჩენელი ვირუსის მთლიანად განკურნებაზეც ალაპარაკდნენ. ***“24 საათი”***

# „ნეიტრონული ბომბი" ქართულ ანიმაციაში

## პირველად ქართული ანიმაციური ფილმების ისტორიაში სერიალი საქართველოს ისტორიაზე



ამორძალი.



არტაკი.



დათა და ნინი.

ნათია ვადაჭკორია

ქართული კინოს – მხატვრული იქნება თუ დოკუმენტური – დღევანდელი მდგომარეობა ყველას კარგად მოეხსენება: გარკვეული გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, ფილმს აღარ იღებენ. ანიმაციურ ფილმებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – ეს განსაკუთრებით ძვირი სიამოვნებაა და ფუფუნებას წარმოადგენს, რადგან დოკუმენტურ ფილმთან შედარებით ანიმაციური გაცილებით ძვირი ჯდება. არადა, "ჩხიკვთა ქორწილის", "წუნა და წრუწუნას", "ხელმარჯვე ოსტატის", "ბატი ტასიკოს თავგადასავალის", "სიზმარას", "ლეკვის", "ქვეყნის მაშენებლების", "ჭირის" (კანის ფესტივალზე გამარჯვებული), "ბაბილინას" და სხვა უდავოდ მაღალი დონის ანიმაციური ფილმების მქონენი, ამ მხრივ, დღეს ნამდვილად დიდ დანაკლისს განვიცდით. მაგრამ, მოულოდნელად ერთი "გამონაკლისის" შესახებ შევიტყვეთ - რეჟისორი, კინოდოკუმენტალისტი ირაკლი მახარაძე – "უაილდ ვესთის მხედრების", "აღმოსავლეთის ექსპრესის", "გურული ფირალების", "ვინც მოვიდა გაუმარჯოს" ავტორი, კომპანია "ქართულ ტელეფილმში" იღებს ანიმაციურ ფილმს, სახელწოდებით – "მოგზაურობა ისტორიაში".

როგორც თავად ირაკლი მახარაძე გვიამბობს, – " **ფილმის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 80-იან წლებში ჰქონდა მხატვარ გია ლაფაურს, რომელიც, ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, დღემდე განუხორციელებელი გახლდათ. იგი მხოლოდ შარშანწინ მოვიდა ამ იდეით კომპანია "ქართულ ტელეფილმში" მერაბ კოკოჩაშვილთან, რომელმაც მე შემომთავაზა ფილმის რეჟისორობა. მართალი გითხრათ, ძალიან მიყვარს მულტფილმები და ჩემს დოკუმენტურ ფილმებშიც მაქვს ანიმაცია გამოყენებული, ამიტომაც ძალიან გამიხარდა ეს შემოთავაზება, სცენარიც მომეწონა და მუშაობაც დავიწყეთ".**

ისტორიაში მოგზაურობას, უფრო სწორად, საქართველოს ისტორიაში, ფილმის პერსონაჟი ორ ბავშვთან – დათასთან და ნინისთან ერთად ვიწყებთ. მათ ყველა თანამედროვე ბავშვის მსგავსად, ძალიან უყვართ კომპიუტერი და კომპიუტერული თამაშები; სწორედ კომპიუტერიდან გამოეცხადებათ მათ ჯადოქარი (ნინო ზაუტაშვილი); დროის მანქანის საშუალებით ისინი ერთად გადაინაცვლებენ ძველ კოლხეთში. იმის გამო, რომ ბავშვებისთვის ფილმი იოლად გასაგები ყოფილიყო და თან შემეცნებითი ხასიათიც ჰქონოდა, ანუ სასიამოვნო და საჭირო ერთმანეთისთვის შეეთავსებინა, რეჟისორმა ფილმში შემეცნებით-გასართობი ფრაგმენტებიც ჩართო, მაგალითად - ოქროს საწმისის მოტაცება და ა. შ. პირველი სერია იაზონით და არგონავტების ისტორიით იწყება - თანმიმდევრობით ვეცნობით საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერსონაჟს - მეფე აიეტს, მედეას, ფარნავაზს, ვახტანგ გორგასალსა და სხვებს. დათა და ნინი თვითონ არიან იაზონის მიერ მედეას და ოქროს საწმისის მოტაცების მომსწრენი და თვითმხილველნი, რაც ფილმს უფრო იოლად აღსაქმელს და ბავშვისთვის სახალისოს ხდის. მუსიკა კომპოზიტორ გიო ცინცაძეს ეკუთვნის.

**"მე ვთვლი, რომ ბავშვს თამაშ-თამაშ უნდა ასწავლო, შეამეცნო რაიმე, მით უმეტეს - ჩვენს დროში, როცა წიგნი და ბიბლიოთეკა ფანტასტიკის სფეროდ იქცა. მართალია უოლტ დისნეის მულტფილმების დონეზე არ ვართ, მაგრამ ბავშვებისთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველი რომ ყოფილიყო, ფილმში პერსონაჟებად ჩავრთეთ ტერმინატორი, ჯეკი ჩანი და სხვანი,"** – ამბობს რეჟისორი.

დათა და ნინი თვითონ ებმებიან ამ ისტორიაში და იაზონს გულშემატკივრობენ კიდეც - მასთან ერთად განიცდიან ყველაფერს. შემდეგ სერიებში ჯადოქარი მაყურებელს უხსნის, რომ ბავშვები მულტპერსონაჟებად გადაიქცნენ და მოგზაურობაც გრძელდება, თავად ჯადოქარი კი ტერმინატორად გადაიქცევა. ბავშვების მულტპერსონაჟებად გადაქცევა, რეალურად, ფინანსურმა მდგომარეობამ, უფრო სწორად, ფინანსების უქონლობამ გამოიწვია. მოგეხსენებათ, კომპანია "ქართული ტელეფილმი" საბიუჯეტო ორგანიზაციაა და, შესაბამისად - ღარიბი. ფარნავაზ მეფე, რომაელები საქართველოში, წმიდა ნინო, ვახტანგ გორგასალი, არაბები საქართველოში, დავით აღმაშენებელი და კიდევ სხვა ბევრ საინტერესო ისტორიას ნახავენ ბავშვები ანიმაციურ სერიალში. დიახ, ათსერიიან მულტფილმს ნამდვილად სერიალი ეთქმის, თანაც აღსანიშნავია, რომ ქართული მულტიპლიკაციის ისტორიას ანიმაციური სერიალი არ ახსოვს, მით უმეტეს - საქართველოს ისტორიის ამსახველი. ირაკლი მახარაძის თქმით, ფილმის ხუთი სერია უკვე გადაღებულია და ხვალვე შეიძლება მისი ტელეეკრანზე გაშვება, დანარჩენ ხუთს კი ჯერ ტექნიკური დახვეწა სჭირდება, რასაც, სავარაუდოდ, ორი-სამი თვე დასჭირდება. ფილმი დამთავრებისთანავე გავა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე (კომპანია "ქართული ტელეფილმი" პირველი არხის დაკვეთას ასრულებს და ვალდებულია, თავისი პროდუქცია პირველ არხზე გაუშვას).

**"ქართული კინოს აღორძინება ფარსი და ტყუილია, რადგან თუ კინოში ფული არ ჩადე, როგორ აღორძინდება?! არადა, მულტსტუდია ისეა გაჩანაგებული, გეგონება, აქ ნეიტრონული ბომბია ჩამოვარდნილი. ეკონომიკურად ძლიერი, უზარმაზარი ქვეყნები არსებობს, რომლებსაც კინემატოგრაფი საერთოდ არ აქვთ. ასე რომ, დროულად თუ არ გავუფრთხილდით კინოს და ნამდვილ პროფესიონალებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში არიან მიმოფანტულები, არაფერი გვეშველება,"** – ამბობს რეჟისორი ირაკლი მახარაძე.

ნუ ვიქნებით პესიმისტები და იმედი ვიქონიოთ, რომ ნამდვილი პროფესიონალები მაღალი დონის ქართულ ფილმებს ისევ გადაიღებენ და ქართული კინოს გულშემატკივრებს და თანამედროვე ბავშვებს ისეთ საჩუქრებს მიუძღვნიან, როგორზეც წინა თაობები აღიზარდა.

# და მაინც: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!"

## "ნიკალა" "პარნასში"



ვახუშტი კოტეტიშვილი და დათო მაღრაძე.

ანა კორძაია-სამადაშვილი

*"ვკადნიერდები და მაქვს პატივი გაცნობოთ: ქვეყანაში მღელვარებაა."*

*დათო მაღრაძე, "ნიკალა"*

ქვეყანაში ხომ თავისთავად, მაგრამ გუშინ ჭავჭავაძეზე, "პარნასთან", მართლაც, დიდი მღელვარება იყო: პოეზიის მოყვარულები დათო მაღრაძის წიგნის, "ნიკალას" შესაძენად და ავტორთან შესახვედრად მობრძანდნენ. საზოგადოების დიდი ნაწილი გარეთ იდგა და მზეს ეფიცხებოდა, მაღაზიაში კი ტევა არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ "პარნასში" ახალი წიგნის ავტორთან შეხვედრა უკვე ტრადიციად იქცა და მრავალ პოპულარულ და მართლა საყვარელ მწერალსა და პოეტს უკვე შევხვდით, ისეთი ხალხმრავლობა და აურზაური, როგორიც დათოს "ნიკალამ" გამოიწვია, კარგა ხანია, აღარ მენახა. ნამდვილი რიგი იდგა. უფრო გასაოცარი და გასახარელი კი ის ფაქტია, რომ "ნიკალა" გამომცემლობა "საარმა" უკვე მეორედ დასტამბა – ამჯერად წიგნს რბილი გარეკანი აქვს, მთელი განსხვავება ეგაა; ამიტომ მეგონა, და, ალბათ, არამარტო მე, არამედ დათო მაღრაძის სხვა მკითხველებსაც, რომ ვისაც მისი შემოქმედება აინტერესებს და, მით უმეტეს, უყვარს, წიგნი უკვე უნდა ჰქონოდა. ამ ფონზე მეორე ტირაჟის წარმატება უკვე საეჭვოდ გვესახებოდა.

ნურას უკაცრავად. როგორც ჩანს, მკითხველები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე წარმოგვედგინა, და დათო მაღრაძე არამარტო რაღაც გარკვეული წრის, არამედ უკვე მთელი ხალხის საყვარელი პოეტია.

გუშინ, მართლაც, უპრეცედენტო მოვლენის მოწმენი გავხდით: პოეტური კრებულები, ქართველ და არამარტო ქართველ გამომცემელთა მტკიცე რწმენით, არ იყიდება, ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, პოეტებთან საქმიანი ურთიერთობა სრულიად უპერსპექტივო ამბავია, ხეირი მაინც არ იქნება. ამას არამარტო გამომცემლები, არამედ თავად პოეტებიც მუდმივად ჩივიან. წელს კი აღმოჩნდა, რომ წესიდან გამონაკლისებიც არსებობს. როგორც ჩანს, ხალხი, უბრალოდ, თავად არჩევს, ვინ მოსწონს და ვინ – არა. და ის, რომ "ლამანჩელი კაფეში" ლამის ხალხურ ლექსად იქცა, სწორედ მკითხველის არჩევანი იყო და არა პროფესიული წარმატების შედეგი.

უცნაური კაცია ეს დათო მაღრაძე: მხოლოდ სარჩევს რომ გადახედოთ, მიხვდებით, რომ ის რაღაც სხვანაირ, თითქოს, არარეალურ სამყაროში ცხოვრობს: "ნატურმორტი ძველი სახლის ინტერიერში სარკმელზე წვიმის წვეთებით, ბოთლით, სიგარეტით, შირმით, სანთლით და ცოცხალი სახით", "თბილისური რაფსოდია", "ავი და კეთილშობილი პატინა", "სეკუნდანტები დუელის დროს არ ამთქნარებენ"... თუმცა, ვინ იცის, რომელი სამყაროა რეალური და რომელი – არა.

დათო მაღრაძის მიმართ ასეთი საყოველთაო სიმპატია, ალბათ, მხოლოდ მისი პოეზიით არაა განპირობებული: ბოლოს და ბოლოს, წიგნი ხომ პირველად რაღაცის გამო უნდა იყიდო, მხოლოდ პირველი კრებულის შემდეგ იცის მკითხველმა რასთან აქვს საქმე. დათო მაღრაძეს კი ისედაც იცნობენ, თუნდაც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის წყალობით. როგორც ერთ-ერთმა ერთგულმა მკითხველმა აღნიშნა, ეს ადამიანი ყოველთვის კარგი საქმისთვის იღწვის, რისი დასტურიც თუნდაც თბილისის დაცვის ფართო კომპანიაა, რომელშიც ბ-ნმა მაღრაძემ უკომპრომისო მებრძოლად წარმოაჩინა თავი.

და ყველაფერი სხვა რომ გვერდზე გადავდოთ, დღეს დათო მაღრაძე ისე ხვდებოდა ყველას, თითქოს "პარნასში" კონკრეტულად ამ, მისთვის ძვირფასი ადამიანის სანახავად ყოფილიყო მისული, და, აი, ისიც გამოჩნდა!

ეყვარებათ თბილისელებს, აბა, რა იქნება...

P.S. დღეს "პარნასი" გურამ დოჩანაშვილს მასპინძლობს. თუმცა, "ლოდი ნასაყდრალი" ჟურნალ "XX საუკუნეში" ქვეყნდებოდა, მისი სრული სახით წაკითხვა ქართველმა მკითხველმა ჯერ ვერ მოასწრო. ამიტომ "პარნასი" ორმაგ დღესასწაულზე გვეპატიჟება: ახალ წიგნსაც შევიძენთ და საყვარელ მწერალსაც შევხვდებით.

# ანარქია და მინიმალისტური საშუალებები ხელოვნების შესაქმნელად

## იუპ ვან ლისჰაუტი პროვოკაციულ ალტერნატიულ სივრცეს თბილისშიც შექმნის

ვერა ნეფარიძე

ცნობილი ჰოლანდიელი ხელოვანი იუპ ვან ლისჰაუტი თბილისში "მედია-არტ ფერმამ" (მაფი) მაისში დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენა Aphendix-თვის მოიწვია. ლისჰაუტი აქ საგამოფენო ექსპონატს, ციხის ანალოგიით დამზადებულ შვიდ საკანს და მათი სამართლიანი მობინადრეების სიას დატოვებს. ამ ადამიანებს ჰოლანდიელი სტუმარი საქართველოს წინაშე გაწეული "დამსახურების" მიხედვით შეარჩევს. ავტორის განმარტებით, ორი საკანი ამდენივე დიქტატორისთვის (სტუმარს არ დაუკონკრეტებია მათი ვინაობა) იქნება განკუთვნილი, ოთხი - მათთვის, ვინც საქართველოს დაპყრობა მოახერხა. რაც შეეხება დარჩენილ ერთ საკანს, ლისჰაუტის აზრით, იქ თავად ქართველი ერის ადგილია... ნამუშევარს "9 აპრილის" ბაღში დადგამენ. გუშინ ჰოლანდიელ ხელოვანს "მაფ"-ის ოფისში დამწყები და პროფესიონალი ფოტოგრაფები შეხვდნენ. ლისჰაუტმა პროექციების დახმარებით საკუთარი შემოქმედება და თბილისური ექსპონატის დეტალები გაგვაცნო.



იუპ ვან ლისჰაუტი თბილისში.

იუპ ვან ლისჰაუტმა თავისი ექსტრემალური სკულპტურებითა და ორიგინალური მობილური სივრცეებით გაითქვა სახელი. ჰოლანდიელი ხელოვანი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მაშინ მოექცა, როდესაც როტერდამის სანაპიროზე გაშენებული მისი კონცეპტუალური სახელმწიფო, საკუთარი დროშით, ფულითა და კონსტიტუციით, ევროპული მას-მედიის ინტერესის საგანი გახდა. სწორედ ამ ყურადღების წყალობით, AVL – VIIIe-ს (ასე ერქვა ამ სახელმწიფოს) ჰოლანდიელმა სახელმწიფო მოხელეებმა საფრთხე შეუქმნეს. უკანასკნელი მონაცემებით, დღეს იუპ ვან ლისჰაუტი მსოფლიოში ყველაზე ხშირად გამოფენილი ნამუშევრების ავტორია.

ამჟამად ლისჰაუტის ნამუშევრები უფრო მის მიერ დაარსებული კომერციული სახელოსნოს, ფირმა Atelier Van Lieshout (AVL)-ის სახელითაა ცნობილი. მას შემდეგ რაც სკულპტორმა ეს სახელოსნო ჩამოაყალიბა, მათი ორიგინალური პროდუქცია მალევე გასცდა ჰოლანდიის საზღვრებს და სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებისა და ბიენალეების ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ნაწილად იქცა. ლისჰაუტის მოძრავი სივრცეები, რომლებსაც ავტორი სასტუმრო ოთახების, სამზარეულოების, ტუალეტებისა თუ საძინებლების სახით აკეთებს (თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ეს ყველაფერი ერთ დიდ მოძრავ სახლშია გაერთიანებული), მისი საკმაოდ ხმაურიანი ნამუშევრებია. ამ ნამუშევრებს მაპროვოცირებელ ალტერნატიულ სივრცეებად მოიხსენიებენ. ეს სივრცობრივი სკულპტურები ექსპერიმენტატორებს სთავაზობენ ცხოვრებას კომუნაში, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი იდეოლოგიისაგან. ჰოლანდიელი ხელოვანის ნოვაციამ თავის აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც მოძრავი აბორტის კლინიკა მოიგონა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ორგანიზაციასთან ერთობლივი პროექტის მიხედვით, ეს კლინიკა სრული დატვირთვით მუშაობს. ამ ჩანაფიქრის იდეა აბორტის ლეგალიზებაა და მას საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს: მსოფლიოში უამრავი ქალი იღუპება არაპროფესიონალურად გაკეთებული აბორტის გამო... ამის შემდეგ აღარაა გასაკვირი, რომ იუპ ვან ლისჰაუტს ხშირად ანარქისტად იხსენიებენ.

"როდესაც წლების განმავლობაში ვამზადებდი მობილურ ოთახებს, ვიფიქრე, რატომ არ უნდა მქონდეს საკუთარი დასახლება-მეთქი", - ლისჰაუტმა ჩანაფიქრი სახელოსნოს თანამშრომლებთან ერთად განახორციელა. შარშანწინ როტერდამის სანაპიროზე, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნებართვის აღების შემდეგ, მათ დააარსეს ასეთი მინისახელმწიფო. სახელმწიფოს ჰქონდა საკუთარი დროშა (ჰოლანდიის დროშის იტერპრეტაციით შექმნილი), ფული, რომლის ფასიც ლუდის ღირებულების ანალოგი იყო, კონსტიტუცია და, როგორც თავად ლისჰაუტი ამბობს, ყველაფერი, რაც სახელმწიფოსთვის იყო საჭირო. რასაკვირველია, ისინი ცხოვრობდნენ საკუთარ სახელოსნოში დამზადებულ მოძრავ სივრცეებში, ჰქონდათ საკუთარი დამზადებული ელექტროქარხანა, აწარმოებდნენ სპირტიან სასმელს (რაც, ჰოლანდიაში კანონით აკრძალულია), ნარკოტიკსა და იარაღსაც კი. ჰოლანდიელი სახელმწიფო მოხელეების "ძილი" დიდხანს არ გაგრძელდა. როდესაც წამყვანი ევროპული მას-მედიის საშუალებებით მათ AVL – VIIIe-ის მოსახლეობის არაკანონიერი საქმიანობის შესახებ შეიტყვეს, მაშინვე დაიწყეს ზრუნვა მის გასაუქმებლად. "საქმე იქამდე მივიდა, რომ ისინი ბოლოს ჩვენთან იარაღითა და ტყვიაგაუმტარი ჟილეტებით მოდიოდნენ", - ყვება იუპ ვან ლისჰაუტი. ამჟამად AVL – VIIIe-ში შვიდი სახლი დარჩა, სადაც აღმოსავლეთიდან (იგულისხმება აღმოსავლეთ ევროპა და აზია) გადმოსახლებულები ცხოვრობენ.

ლისჰაუტის მორიგი ხმაურიანი ნამუშევრები პენისების სერია იყო. ეს სერია მისი ადამიანის ორგანოებით გატაცების დასაწყისად იქცა. ბოლო დროს მისი სახელოსნო ამ ორგანოების ფორმების მობილურ სახლებს აწარმოებს, რაზეც, დაინტერესება თურმე საკმაოდ დიდია ევროპაში. ერთ-ერთ ბელგიელ კოლექციონერს უთქვამს საშვილოსნოს ფორმის მოძრავ კაბინაზე, პატარა რომ არ იყოს, ჩემს ოჯახთან ერთად დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდიო. ლისჰაუტის მოძრავ სახლებს მხოლოდ კერძო კოლექციონერებთან არ შეხვდებით. გარკვეული ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებშია, უმრავლესობა კი, უბრალოდ, სახლებში აქვთ, რიგით მოქალაქეებს. ბოლო დროს, აშშ-ს ერთ-ერთ მუზეუმს ლისჰაუტის სახელოსნოსთვის მოძრავი მუზეუმი შეუკვეთავს, რომ ექსპონატები თავად მიიტანონ სკოლებსა თუ სხვადასხვა სასწავლებლებში.

იუპ ვან ლისჰაუტის ორიგინალურ ხელოვნებას თბილისელები მაისის ბოლოს ნახავენ. ჰონლანდიელი ხელოვანის თქმით, ექსპონატის დამზადებას, სავარაუდოდ, 3-4 კვირა დასჭირდება. თავად ლისჰაუტი თბილისიდან სამშაბათს მიემგზავრება, ხოლო Aphendix-ის დასრულების შემდეგ ლისჰაუტი საკუთარ ექსპონატს ჰოლანდიაში წაიღებს.




## მოკლედ

**ფეხბურთი.** Tribalfootball-ის ცნობით, არაა გამორიცხული ზაფხულში "ინტერსა" და "ბარსელონას" შორის გაცვლითი გარიგება მოხდეს. კერძოდ, სერჟიო კონსეისაოს ესპანეთში, ხოლო იტალიაში მარკ ოვერმარსს ელიან. ფეხბურთელების გაცვლის ინიციატივა კი "ინტერისგან" მოდის. თუმცა, "ბარსელონა" მოთამაშეთა პირდაპირ გაცვლას არ ეთანხმება და დამატებით 3 მილიონ ფუნტ სტერლინგს ითხოვს.

■ ■ ■

**რეკორდები.** გინესის რეკორდების წიგნში ხუთშაბათს დამყარებული რეკორდის წყალობით ადგილი დაიმკვიდრა ფიგურული სრიალის შვეიცარიელმა ოსტატმა ლუსინდა რუხმა. შვეიცარიელმა მსოფლიოს რეკორდი ბრუნვების ხანგრძლივობაში დაამყარა. ამერიკელი არბიტრის შონ რანსტატის, გინესის რეკორდების წარმომადგენელთა და ცნობისმოყვარეთა თანდასწრებით, რუხმა საკუთარი ღერძის გარშემო შეუჩერებლად 115 ბრუნი გააკეთა. ამრიგად, შვეიცარიელმა თითქმის ორჯერ გააუმჯობესა ბრიტანელი ნილ უილსონის რეკორდი, რომელიც აქამდე თავს 60 ბრუნით იწონებდა. რუხი, არც ამას დაკმაყოფილდა და კიდევ ერთი რეკორდის – ყველაზე სწრაფი ბრუნის გაკეთებასაც შეეცადა, თუმცა რამდენად წარმატებულად გაართვა ამ უკანასკნელს თავი, ამაზე პასუხს მოგვიანებით, ანუ მას შემდეგ შევიტყობთ, როდესაც გინესის რეკორდების წარმომადგენელნი ვიდეო ჩანაწერს ზედმიწევნით შეისწავლიან. აქვე ორიოდე სიტყვით რუხის მიღწევებზეც. შვეიცარიელმა სამოყვარულო კარიერაში 1999 წლის ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე 13-ე ადგილი დაიკავა, ხოლო პროფესიონალთა შორის მსოფლიოს პირველობებზე ორჯერ მესამე იყო.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ერთი ტურით ადრე NHL-ის რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული კანადური კლუბი "ოტავა სენატორზია". მას შემდეგ, რაც "დეტროიტი" "კოლუმბუსს" გუშინდელ დაპირისპირებაში დაუზავდა - 5:5, კანადელთა დაწევა უახლოესი მდევრებისთვის შეუძლებელი გახდა. უკანასკნელად კანადური კლუბი ე.წ. აშშ-ის პრეზიდენტის პრიზს 14 წლის წინათ – 1989 წელს დაეუფლა. 14 წლის წინანდელი წარმატება კი "კალგარიზე" მოდის, რომელიც იმავე წელს "სტენლის" თასსაც დაეუფლა. სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო ოთხიდან სამჯერ "სტენლის" თასი იმ გუნდებს მოუპოვებიათ, რომლებიც რეგულარულ ჩემპიონატებში პირველ ადგილზე გასულან.

პირველი ადგილის წყალობით, "ოტავამ" პლეი-ოფების საკუთარ მოედანზე თამაშის უპირატესობაც იგდო ხელთ. პლეი-ოფებში გამარჯვებულთა პირველი მეტოქე კი "ნიუ იორკ აილენდერსი" იქნება.

## ჩოგბურთი

# სამი ნახევარფინალისტი პრაქტიკულად გამოვლინდა

**დევისის თასი. მეოთხედფინალი:**

**ესპანეთი – ხორვატია 2:0**

*ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) – მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:2, 7:6 (7:1)*

*კარლოს მოია (ესპანეთი) – ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:7 (5:7), 6:1, 6:4, 6:4*

**არგენტინა – რუსეთი 2:0**

*დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) – ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:2, 6:2, 7:5*

*გასტონ გაუდიო (არგენტინა) – ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:4, 6:0, 6:2*

**შვედეთი – ავსტრალია 0:2**

*მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) – იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:3, 6:3*

*ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) – ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:4, 6:2, 5:7, 6:4*

**საფრანგეთი – შვეიცარია 1:1**

*სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) – ჟორჟ ბასტლი (შვეიცარია) 6:3, 6:4, 3:6, 6:3*

*როჟე ფედერერი (შვეიცარია) – ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:4, 7:5, 6:2*

პარასკევს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩები დაიწყო. პირველივე დღეს მოვლენები ისე განვითარდა, რომ სამი ნახევარფინალისტის ვინაობა ახლავე შეიძლება დავასახელოთ. პირველი დღის შემდეგ 2:0 დაწინაურდნენ: არგენტინის, ესპანეთისა და ავსტრალიის გუნდები. მხოლოდ ფრანგები და შვეიცარიელები არ თმობენ პოზიციებს. ტულუზაში პირველი დღის შემდეგ ანგარიში საყაიმოა – 1:1. როგორც ჩანს ესპანელები იოლად მოიგებენ. ანჩიჩმა და ლიუბიჩიჩმა ვერაფერი დაუპირისპირეს ფერეროსა და მოიას. პრინციპში, ლიუბიჩიჩი ანჩიჩზე უკეთ გამოიყურება, მაგრამ როგორც ჩანს, ასეთ დონეზე თამაშისთვის ჯერჯერობით მზად არ არის. მოია კი შესანიშნავ ფორმაშია. იგი კი-ბისკაინის ტურნირის ფინალში გავიდა, სადაც ანდრე აგასისთან შეხვედრაში დამარცხდა, მაგრამ აგასი ამჟამად ყველაფერს იგებს.

წყვილთა თანრიგში ესპანელთა ღირსებას ალექს კორეჩა და ალბერტო კოსტა დაიცავენ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლიუბიჩიჩმა და ლოვრო ზოვკომ, რომელიც ერთეულთა თანრიგში 178-ე ადგილზე, ხოლო წყვილებში 118-ეზე იმყოფება, რეალური კონკურენცია გაუწიონ გამოცდილ ესპანელებს. ასე რომ, ესპანეთის ნაკრებმა შეიძლება უკვე წყვილთა შეჯიბრების შემდეგ გაინაღდოს ნახევარფინალის საგზური.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება ავსტრალიის ნაკრებიც, რომელიც სტოკჰოლმში შვედებს ეთამაშება. პირველ დღეს ავსტრალიელთა მხრიდან კორტზე მარკ ფილიპუსისი და ლეიტონ ჰიუიტი გავიდნენ. საინტერესოა, რომ პრობლემებს არა ფილიპუსისი, არამედ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი გადააწყდა. მარკმა თავისი მატჩი ბიორკმანს სამ სეტში მოუგო, ხოლო ჰიუიტს ენკვისტთან შეხვედრაში გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა. პირველი ორი სეტი ავსტრალიელმა იოლად მოიგო. მესამე პარტიაში კი გამარჯვება უკვე შვედმა იზეიმა. თუმცა, მატჩის საბოლოო შედეგზე ამ მოვლენამ ვერანაირად ვერ იმოქმედა. ავსტრალიელები – 2:0-ს იგებენ. წყვილებში ბიორკმანი-ენკვისტის ტანდემი არტურსსა და ვუდბრიჯს დაუპირისპირდება. სპეციალისტები უპირატესობას სტუმრებს ანიჭებენ, მაგრამ მათი გამარჯვების ასე ხელაღებით წინასწარმეტყველებას ვერავინ ბედავს. რაც შეეხება დევისის თასის ამჟამინდელ მფლობელ რუსეთის ნაკრებს, სპეციალისტები აღიარებენ, რომ ზედიზედ ორჯერ სასწაული ნაკლებად ხდება. ამიტომ ადვილი შესაძლებელია რუსებმა უფლებამოსილება მეოთხედფინალურ ეტაპზევე დათმონ.







*ნალბადიანმა (მარცხნივ) დავიდენკოს შანსი არ დაუტოვა.*

## ფეხბურთი

# ხორვატი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე დაითანხმეს

მიხეილ აბაიშვილი

30 აპრილს რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ და 7 ივნისს, ირლანდიელებთან გასვლით მატჩში საქართველოს ეროვნულ გუნდს თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი, ხორვატი ივო შუშაკი უხელმძღვანელებს. "24 საათს" სანდო წყარომ აცნობა, რომ გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია და თბილისის "დინამოს" მეპატრონე, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. მოლაპარაკების შედეგად ბადრი პატარკაციშვილმა თანხმობა განაცხადა, რომ შუშაკმა ეროვნულ ნაკრებს უხელმძღვანელოს, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი თავად ხორვატ მწვრთნელსაც ექნებოდა. "დინამოს" აღმოსავლეთევროპელი მწვრთნელი უკვე ინფორმირებულია ამის თაობაზე და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საწინააღმდეგო არაფერი აქვს. თუმცა, ოფიციალური შეთავაზება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ჯერ არ მიუღია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღეს "დინამოს" ეროვნული ჩემპიონატის საკმაოდ მნიშვნელოვანი გასვლითი შეხვედრა აქვს გასამართი ფოთში, ადგილობრივ "კოლხეთთან". ხორვატი სპეციალისტის თქმით, ნაკრებთან დაკავშირებულ საკითხზე იგი ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას მხოლოდ ამ თამაშის შემდეგ გამართავს. რაც იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურ შეთავაზებას იგი მხოლოდ ორშაბათს, 7 აპრილს მიიღებს და რუსეთის ეროვნულ გუნდთან მატჩამდე საქართველოს ნაკრების მოსამზადებლად სამ კვირაზე ცოტა მეტი დრო ექნება.

წინასწარი ინფორმაციით, შუშაკი სულ ორი შეხვედრის განმავლობაში უხელმძღვანელებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ხოლო ამ დროის განმავლობაში, ანუ 7 ივნისამდე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რომელიმე მაღალკვალიფიციური უცხოელი სპეციალისტის გამოძებნას მოანდომებს. მერაბ ჟორდანიას მიერ მედიაში გაკეთებული განცხადებით, ფედერაციას აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობები, რომ მოწვეულ მწვრთნელს 500 ათასიდან 1 მილიონ დოლარამდე წლიური ხელფასი გადაუხადოს, ასეთი ანაზღაურებით კი, მართლაც, უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელის მოწვევაა შესაძლებელი. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ რუსეთისა და ირლანდიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან დადებითი შედეგების მიღწევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ნაკრების საჭესთან ივო შუშაკს უკვე ხანგრძლივი ვადით დარჩენა შესთავაზონ.





*ივო შუშაკი.*

# "შეიხი" ეფენბერგი

### ბუნდესლიგის ჭირვეული ვარსკვლავი კატარში მიდის

ნინო პირველი

ოლივერ კანის შემდეგ შტეფან ეფენბერგის უცნაურობებს გერმანული ყვითელი პრესა ყველაზე მეტ ადგილს უთმობს. "ეფეს" წყალობით ჟურნალისტებს საქმე, ნამდვილად, არ ელევათ. "ბაიერნის" ექს-კაპიტნის თავს ყოველთვის ხდება რაიმე საინტერესო. ჯერ მხოლოდ "ვოლფსბურგიდან" მოულოდნელი გაქცევა რად ღირდა! სად გინახავთ, ნორმალურად მოაზროვნე ფეხბურთელს სეზონის დასრულებამდე ორი თვით ადრე მიეტოვებინოს თავისი კლუბი მხოლოდ იმიტომ, რომ მწვრთნელის თანაშემწემ წონაში დაკლება მოსთხოვა? ჩემი ოთხმოცდაათი კილოთი მე ჩემპიონთა ლიგა მოვიგე და თქვენ ვინ ხართ, რომ პრეტენზიებს მიყენებთო,- გადაირია "ეფე" და ბევრი არ უფიქრია, "ვოლსბურგის" ხელმძღვანელობას განუცხადა, კონტრაქტს ვარღვევო...

გერმანიაში ეფენბერგს უკვე ისე აქვს სახელი გატეხილი, რომ ბუნდესლიგაში, ალბათ, აღარავინ შესთავაზებს თამაშს. ვის ესიამოვნება ისეთი ფეხბურთელის ყოლა გუნდში, რომელიც მუდამ სკანდალში ეხვევა. "ეფესაც" აღარ სურს გერმანიის ჩემპიონატში თამაში. ის კი არა, საერთოდ ევროპიდან წასვლაზეც კი ფიქრობს. თავდაპირველად ეფენბერგს ამერიკულ "მეიჯორ ლიგაში" უნდოდა გადასვლა. გერმანელი ფეხბურთელი ეგრეთ წოდებული "Green Card"-ის მფლობელია, რისი წყალობითაც მას თავისუფლად შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრება და მუშაობა. ამ "ბედნიერი ბარათის" მფლობელი უცხოელად აღარ ითვლება და ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რაც თავად ამერიკელებს აქვთ. ასე რომ, "ეფეს" რომ მოესურვებინა, გარანტირებული ექნებოდა ადგილი "მეიჯორ ლიგის" რომელიმე გუნდში, მაგრამ ექსცენტრულმა ფეხბურთელმა სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღო.

მოულოდნელად "ეფემ" კატარში მოისურვა თავისი შფოთიანი კარიერის გაგრძელება. კატარის ემირი ფეხბურთზე გიჟდება. ერაყის მეზობლებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გააფორმეს კონტრაქტი ბრაზილიელ ვარსკვლავ რომარიოსთან, რომელიც იმდენად მოხიბლა "ნავთობ-დოლარებმა", რომ აზიელებისთვის უარის თქმა არც კი მოსვლია აზრად. იტალიურ "მილანს" ემირმა ისეთი ზღაპრული თანხა გადაუხადა, რომ სილვიო ბერლუსკონის გუნდმა, სერია ა-სა და ჩემპიონთა ლიგის მატჩებს შორის თავისუფალი ოცი საათი გამონახა და ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად უყოყმანოდ გაფრინდა კატარში... მოკლედ, ამ პატარა ქვეყანაში დიდი ფული ტრიალებს და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებიც სულაც არ არიან წინააღმდეგნი, თუ თავს ცოტა ხნით მაინც იგრძნობენ უმდიდრეს "შეიხებად." ამისთვის ხომ მხოლოდ ქაღალდზე ხელის მოწერაა საჭირო...

"შეიხად" ქცევის იდეამ შტეფან ეფენბერგიც მოხიბლა. გერმანელი უკვე სერიოზულად ფიქრობს კატარში წასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცის, "ნავთობის სამოთხე" სიმდიდრესთან ერთად უცხოელებს მკაცრ მოთხოვნებსაც უყენებს. ასე მაგალითად, კატარში ალკოჰოლური სასმელების შეძენა მხოლოდ სასტუმროების ბარებშია შესაძლებელი და ისიც საკმაოდ ძვირად. დისკოთეკა და გართობა აქ მეტად პირობითი ცნებებია. 1996 წლამდე დაუქორწინებელ წყვილებს სასტუმროში შესვლის უფლება არ ჰქონდათ, შემდეგ კი ეს კანონი გააუქმეს, რაც "ეფესა" და კლაუდია შტრუნცისთვის ნამდვილად მისწრებაა, ისინი ხომ ჯერ განქორწინებულნიც არ არიან თავიანთ პირველ მეუღლეებთან.. ამას გარდა, კატარი საკმაოდ მძიმე კლიმატური პირობებითაც გამოირჩევა - ზაფხულში აქ საშინლად ცხელა, ტემპერატურა 50 გრადუსსაც კი აღწევს. ერაყის ომის გამო უცხოელებს ჯერჯერობით არ ურჩევენ კატარში წასვლას, მაგრამ "ეფე" ყველა ამ დაბრკოლებას არაფრად აგდებს - მას ხომ კატარში მილიონები ელის. "კატარში ფეხბურთის განვითარებისთვის შესანიშნავი პირობებია შექმნილი. 2006 წლის აზიური თამაშები ხომ სწორედ ამ ქვეყანაში ტარდება. უცხოელი ვარსკვლავების დახმარებით, მართლაც, შეიძლება კატარში საფეხბურთო ეიფორიის გამოწვევა. ბრაზილიელი რომარიო უკვე მიწვეულია კატარში სათამაშოდ, ენდი მიოლერთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. "დარწმუნებული ვარ, რომ აქ თამაში საინტერესო იქნება,"- განუცხადა "ეფემ" "ბილდის" კორესპონდენტს.

ასე რომ, თავად ეფენბერგი მეტად პერსპექტიულად თვლის კატარში გადასვლას. მის მეგობარ ლოტარ მატეუსს კი ძალიან წყდება გული "ეფეს" აზიაში წასვლის გამო. მატეუსი ამჟამად ბელგრადის "პარტიზანის" მთავარი მწვრთნელია და თურმე ძალიან უნდოდა, ეფენბერგიც წაეყვანა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. "მე უკვე ველაპარაკე კლუბის სპორტულ დირექტორს, რომელსაც ეფენბერგი ძალიან მოსწონდა. ის იდეალური ლიდერი იქნებოდა ჩვენი ახალგაზრდული გუნდისთვის და კიდევ ერთხელ მიეცემოდა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება,"- სინანულით თქვა მატეუსმა. ალბათ, არც ეს იქნებოდა ურიგო პერსპექტივა, მაგრამ რა გაეწყობა. ჩემპიონთა ლიგას და საერთოდ, ევროპას "ეფემ" "ნავთობის მილიონები" ამჯობინა. ბელგრადში ხომ ნამდვილად ვერ გადაუხდინენ ამდენს....

# მარტის საუკეთესო პრემიერ-ლიგელები

"ვესტ ჰემის" დამრიგებელი გლენ რედერი პრემიერ-ლიგის მარტის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. ასეთი პატივი კი კლუბის წაუგებელი სერიისთვის დაიმსახურა, რომელიც პრემიერ-ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. კერძოდ, მარტში ლონდონელებმა ერთი და იგივე ანგარიშით – 2:0 დაამარცხეს ჯერ "ტოტენჰემი", შემდეგ "სანდერლენდი", ფრედ (0:0) ითამაშეს "ევერტონთან".

აღსანიშნავია, რომ რედერისთვის შესაბამისი ჯილდო - The Barclaycard Premiership manager პირველია. საუკეთესო მწვრთნელის წოდებისთვის კი ვესტ ჰემელთა დამრიგებელს ეცილებოდნენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორებიც არიან: ალექს ფერგიუსონი და ჟერარ ულიე.

"ამგვარ ჯილდოს, როგორც წესი, უმეტესწილად ისინი ეუფლებიან, რომელთა გუნდებიც ცხრილის სათავეში არიან. ამიტომაც, ორმაგად სასიამოვნოა, რომ ამჯერად მისი მფლობელი გლენ რედერია, რომელმაც დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ იღბალი მათ კლუბისკენაც შებრუნებულიყო",- განაცხადა The Barclaycard Premiership manager-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეს-მდივანმა.



*გლენ რედერი*





*სტივენ ჯერარდი*

"ლონდონელები აგერ უკვე ზედიზედ მეოთხე მატჩია წაუგებლად თამაშობენ. ერთადერთი "ნაკლი" ის თუა, რომ ბოლო ხუთ შეხვედრაში ორად ორი ბურთი გაუშვეს საკუთარ კარში. გლენ რედერის სამწვრთნელო შესაძლებლობებმა და მიზანდასახულობამ ამ სეზონში გუნდს კარგი სამსახური გაუწია. ეჭვიც არავის ეპარება, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა "ვესტ ჰემს" მომავალი სეზონისთვის პრემიერ-ლიგის საგზური მოაპოვებინოს,"- დასძენს პრეს-მდივანი.

ისე კი, "ვესტ ჰემის" ბოლო მწვრთნელი, რომელიც აქამდე ზემოდხსენებულ ჯილდოს დაუფლებია, ჰარი რედნაპი გახლავთ. ასეთი პატივი მას 1998 წელს დასდეს.

მწვრთნელთან ერთად, რა თქმა უნდა, დაასახელეს საუკეთესო მოთამაშეც. მარტის თვის პრემიერ-ლიგის საუკეთესო ფეხბურთელის პატივი ლივერპულელ სტივენ ჯერარდს დასდეს. მოცილეები, რა თქმა უნდა, ჯერარდსაც ჰყავდა. ჟიურის გამოკითხვისას რუუდ ვან ნისტელროოის ("მანჩესტერ იუნაიტედი"), ჟერმან დაფოსა ("ვესტ ჰემი") და ჯერარდს შორის მოუხდა არჩევანის გაკეთება. ბოლო თვის განმავლობაში "ლივერპულის" ნახევარმცველი საუკეთესო ფორმაშია და გუნდისთვისაც დიდი სარგებელი მოაქვს, რომელსაც მიზნად აქვს, რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე აინაცვლოს, რათა მომავალი წლისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურს გამოკრას ხელი.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერის სტუდიაში მონვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 1,5-იანი მოსკოვის პროექტის ბინა, გადაკეთებული 2 ოთახიანად. ფასი 3200. მე09 სართული. ვარკეთილი 2 მ/რ. 8(93) 32 06 71

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი კარგად გარემონტებული ბინა 8 (9) დიდუბეში, წერეთელზე. ფასი 27 000. 34 09 88, 8(99) 96 95 05

იყიდება ან იცვლება 104 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ. 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საზაფხულო მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

### მიწის ნაკვეთი

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული სახლი, 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფელ გლდანში. 63 29 26, 63 32 39

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება!**
**სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ვიქირავებ კომფორტულ 2 ან 3-ოთახიანს დაბალ სართულზე დიდი დიღმის დასაწყისში. 32 37 22

## მანქანები

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
**ტელ: 899 16 28 68**

იყიდება ავტომანქანა "ლანჩია-ტეტრა", 1991 წლის, შავი, ძრავი 2,0 კუბ. მ. საუკეთესო მდგომარეობაში 2000-ად. 95 08 87, 8(77) 73 16 61

## სწავლება

სწრაფი, კვალიფიციური კითხვის ტექნიკას შევასწავლი ინტელექტუალური საქმიანობის პირებს. გაიზრდება კითხვის სიჩქარე, ყურადღება, გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი. 32 32 75

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

## სხვადასხვა

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

იყიდება ჯეოსელის (877) სიმ-ბარათი. გათიშულია ცალმხრივად. ფასი 5 ლარი. 8(24) 17 41 04, 8(93) 90 07 91

ახალგაზრდებს გთავაზობთ საოფისე სამსახურს თავისუფალი გრაფიკით. გასაუბრება უფასოა. 41 57 77, 8(99) 58 70 54

ვიყიდი ირლანდიურ სეტერს. 93 65 04 თორნიკე

იყიდება მინი კომპიუტერი "CASIOPEIA", ვინდოუსი, ექსელი, "მპ-3", ინგლისურ-რუსული ლექსიკონი. 8(93) 32 09 64

იყიდება 2-ტონიანი მანქანის ამწე და 40-ტონიანი დასაჭირხნი დანადგარი, 2-2 ცალი. 65 85 79




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

პირველად გამოიცა ქართულ ენაზე წიგნი "სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია". ავტორი ნაზი ღუდუშაური. მიაკითხეთ ვაჟა-ფშაველას №20.

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტებს. 75 53 55

იყიდება მაღაზია და საცხოვრებელი ერთად ნაძალადევში, ზესტაფონის ქუჩა № 14. ფასი 8 000. 64 87 96

სამრეცხაო სალონი „კრისტალი" გთავაზობს თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-დაუთოებას, ქიმწმენდას. სოლოლაკი, მაჩაბლის 1. 98 36 34









## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა - 2003"
დას: 19:00 სთ; ფასი 5-9 ლარი

### თეატრები

**მარჯანიშვილის თეატრი**
ლაშა თაბუკაშვილის "ნატაძრალი", რეჟ: ნუკრი ქანთარია, მთავარ როლებში ედიშერ მაღალაშვილი, გურანდა გაბუნია
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"ჰამლეტი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"მუუ", რეჟ. ზურა ქიქოძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა "ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**გალერეა „სოლოლაკი„**
"შემოდგომის პლენერი გარიყულაში", ხუთი პოლონელი მხატვრის გამოფენა
TMS
"თაობები", ქიქოძეების ფოტოგამოფენა

**ეროვნული გალერეა**
მამია მალაზონიას ნამუშევრების პესონალური გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**"ამირანი"**
ანიმაციური ფილმი "ტიხიროს სულების სამყაროში"
დას: 14:00; 16:30 სთ ფასი 5,6 ლარი
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 19:00; 22:00 სთ ფასი 7,8 ლარი

**"რუსთაველი"**
"ტაქსი 3"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებულ კურსებზე.**
**ტელ: 34-41-15, 34-67-50**
**etv@ip.osgf.ge**

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
**შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.**
**ფირმების რეგისტრაცია**
**შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.**
**1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე**
**მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22**




## TV პროგრამა 6 აპრილი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.00 ჯადოქარი
10.45 საგავშვო ფილმი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 ველური ამბები
16.10 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" 877 45-79-25 სიმონა სინიორე, ფილიპ ნუარე, „ნავი" 877 45-79-26, იურგენ პროხნოვი, ჰერბერტ გრონმაიერი. „დაქირავებული პოლიციელი" 877 45-79-27 ბერტ რეინოლდსი.
00.15 მხ.ფ. „ღამის ფერი" მთ. რ-ში: ბრიუს უილისი.
02.15 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 ზოოპარკი
08.25 მხ. ფილმი „უცხო ამერიკა"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 რუსთაველის სახ. აკად. თეატრის სპექტაკლი „საშობაო სიზმარი"
17.35 ეძიე ქალი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ჩემპიონი"
18.50 „ეკოდაიჯესტი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 მუსიკალური ოქტაგონი
21.40 „ამბობენ"
22.15 მეალომანია
22.50 სატელევიზიო კინოდარბაზი „ჩვენ პირველი ევროპელები ვართ"
23.35 არტმოგილი
00.00 ტაიმ-აუტი
00.30 მხ. ფილმი „ცის ქუხილი"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 ფილმი
17.45 ფილმი „სიყვარულის ისტორია"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 ქართული მუსათეული
22.50 კვირის საუკ. ლექსები
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „15 აგვისტო"
01.50 ფილმი ღამურა „კარლიტოს გზა"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 დოკ. ფილმი „საუკუნის გიგანტები"
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „არხების გადათვლისას" ჰიტ-პარადი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „დიდი, მსუქანა მატყუარა"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
17.00 ოპერა: მადამ ბატერფლაი
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ფურცელი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „საიდუმლო"
01.00 ღამის ფილმი

### ევრიკა

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.35 თბილისური ოჯახები
14.00 მუსიკალური პაუზა
14.25 მხ. ფილმი „პონეტი"
16.00 - 18.00 რელიგიის საათი
18.00 დოკ. ფილმი
19.00 კითხვების კორიანტელი
19.20 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა გავშვოგაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 „კვირის ვესტი"
22.00 „იდენ-ტვ"
22.30 საოცარი პირამიდა
23.30 მხ. ფილმი „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს".

### მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 „საუბრები სტუდიაში"
11.50 მულტფილმი „ფოლადის გიგანტი"
13.20 მხ. ფილმი „თომას კრაუნია აფიორა"
15.15 მხ. ფილმი „ქალღების პარკი"
17.00 მხ. ფილმი „დროის განაჩენი"
19.00 „ბელისიმო". ელისო ვირსალაძე.
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები". მელვინე.
20.40 დოკ. სერიალი „ფოტორობოტი" მე-7 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები".
22.15 „ლეო და გეო"
22.30 მხ. ფილმი „იარაღიანი კაცი"
00.20 მხ. ფილმი „სუპერჯაშუში".

### იმედი

11.00, 01.20 იმედის მელოდიები
12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 მულტფიმლი „ფანტომეტა"-8
12.30 ახალგაზრდული სერიალი „უკიდურესი ზღვარი". „დოპინგი"-15,"სრული კონტროლი"-18
13.10 „არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი
13.45 თოქ შოუ „არჩევანი თქვენ"
15.15 სპორტული პროგრამა „ასი"
15.35 ქართული ფილმი „მაცი ხვიტია"
17.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის". „დრაკონის მიწა"
18.00 სერიალი „ლაბირინთი"- მე-10 ს.
19.30 სერიალი „შტოკინგერი"-3
20.30 თამაში „ლარის მახე"
21.00 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი"-4
22.00 დროება
22.40 წარსულის ერთი კვირა - 4
23.05 „მუღამები" (ფარული კამერა)
23.30 ფეხბურთი 1-ლი ტაიმი
00.20 ახალი ამბების დაიჯესტი
00.30 ფეხბურთი მე-2 ტაიმი

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ზღაპარი „დაბრუნება ოზის ქვეყანაში"
11.05 „ყველანი ვართ პატარები"
11.15 Слово
12.10, 16.10, 19.20 „სამყარო მშვენიერია" გავშვები და ხელოვნება
12.20 ვესთერნი „შესანიშნავი შვიდეული"
14.25 სათავგადასავლო ფილმი „ექვსი დღე, შვიდი ღამე"
16.20 მულტფილმი „გუფი და მისი მეგობრები"
17.20 კომედია „შავი რაინდი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.30 მხატვრული ფილმი „ოუშენის თერთმეტი მეგობარი"
21.30 „ქალბატონები"
22.30, 00.30 Новости в воскресенье
23.00 Величественное наследие
00.50 მელოდრამა „დედინაცვალი"
03.20 დრამა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"

### VII არხი

16.10 მოგილურები
16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
19.00 „აჩიკუდა"
20.00 ავტოტრეკინგი
20.50 კომპიუტერული თამაშები
20.55 „კინოკლუბი „ - „12 განრისხებული მამაკაცი" დეტექტივი. როლებში: ჰეკ ლემონი ოსი დევისი
22.15 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
22.35 კომპიუტერული ტექნიკა
23.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
01.20 აუდიო - ვიდეო-ტელე

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 00.35 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
09.20 Армейский магазин
09.50 Дисней-клуб
10.10 В мире животных
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 Дог-шоу
13.10 „Новый день", „Теория невероятности"
13.40 „Клуб путешественников"
14.20 „Ералаш"
14.35 „Геркулес"
15.15 „Властелин вкуса"
16.15 „Кумиры". О. Воронец.
16.45 КВН-2003. Высшая лига.
19.00 Времена
20.15 Концерт М. Галкина
21.45 Боевик „ОСАДА"
23.50 Бокс. Ленокс Льюис - Майк Тайсон..
00.45 Худ. фильм „ГЛАДИАТОР"
02.40 Худ. фильм „ЧАСТНОЕ ДЕЛО"
04.30 Худ. фильм „ПОВОРОТ СУДЬБЫ"
06.15 „Каскадеры"
06.35 „Шутка за шуткой".

### РТР

07.00 Мультфильмы
07.30 Худ. фильм „БЕЗ ОШЕЙНИКА"
08.55 „Джуманджи"
09.20 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Вести-Москва
11.15 Утренний разговор
11.45 В „Городке"
12.20 Комедия „НИНДЗЯ ИЗ БЕВЕРЛИ-ХИЛЛЗ"
14.10 Парламентский час
15.00, 06.00 Вести
15.20 Мир на грани
15.50 Комната смеха
16.55 Футбол. ЦСКА - „Спартак" (Москва).
19.05 Боевик „КИБОРГ"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 „Аншлаг" представляет. „Кто кого?".
00.30 Худ.фильм „АМЕРИКАНСКИЙ ОБОРОТЕНЬ В ПАРИЖЕ"
02.15 Чемпионат мира „Формула-1". Гран-при Бразилии. Квалификация.

### НТВ

07.00 Худ.фильм „ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
08.30 Полундра!
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Худ.фильм „ЧЕЛОВЕК-ОРКЕСТР"
10.25 „Шар удачи"
11.05 Худ. фильм „ЛЮБОВЬ ВДОВЦА"
12.05 „Растительная жизнь"
12.35 „Вы будете смеяться"
13.05 „Влияние"
14.05 Худ. фильм „ЛЕКАРСТВО ПРОТИВ СТРАХА"
15.50 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.15 Экстремальный контакт: Аллигаторы Южной Флориды.
17.45 „Принцип домино"
19.05 „Национальная безопасность"
20.35 Худ. фильм „СЫЩИКИ"
21.45 Боевик „КОЛОНИЯ"
23.35 Боевик „КАФФС"
01.35 Сериал „КЛАН СОПРАНО"
02.35 Журнал лиги чемпионов
03.00 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*












# ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

შარშან მონრეალში (კანადა) აგვისტოს 18 - 31 ჩატარდა წყვილთა მსოფლიო პირველობა ბრიჯში. ბრიჯის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის საბოლოო სიტყვაში გამოითქვა წყენა, რომ მხოლოდ 160 გუნდმა და 500-მდე წყვილმა (1000-ზე მეტი მოთამაშე) მიიღო მონაწილეობა ამ ჩემპიონატში. მიაქციეთ ყურადღება თუ რა რაოდენობას თვლის იგი საწყენად.

მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება ორ სახეობაში, გუნდების შეჯიბრი და წყვილების შეჯიბრი. იმისათვის, რომ შედეგი არ იყოს დამოკიდებული კარტის მოსვლაზე (არ იყოს შემთხვევითი), გუნდურ შეჯიბრში თამაშობენ ორ მაგიდაზე (სხვადასხვა ოთახში). დარიგება, რომელიც გათამაშდება პირველ ოთახში გადაიტანენ მეორეში და მხარეებს შეცვლიან. მაგალითად, თუ ხვდება იტალიისა და კანადის გუნდები, ის კარტი რაც პირველ ოთახში ჰქონდათ იტალიელებს მეორე ოთახში ექნებათ კანადელებს, ხოლო ის რაც პირველ ოთახში ჰქონდათ კანადელებს მეორე ოთახში ექნებათ იტალიელებს. ამ დარიგების მიმართ მხედველობაში მიიღება მხოლოდ შედეგების სხვაობა. ანუ ფასდება არა მაღალი ქულები, არამედ რაოდენ ამოწურა გუნდმა დარიგების შესაძლებლობა. მეორე მეთოდი იხმარება წყვილების შეჯიბრებისას. წყვილთა შეჯიბრი ტარდება ერთდროულად ბევრ მაგიდაზე. გასულ ჩემპიონატზე 250-ზე მეტი მაგიდა იყო (გაგახსენებთ, რომ ეს ეცოტავა პრეზიდენტს). ერთი და იგივე დარიგება გადადის მაგიდიდან მაგიდაზე და მას სხვადასხვა წყვილები გაითამაშებენ. შედეგები ერთმანეთს დარდება და ამით დგიდება საუკეთესო მოთამაშე წყვილი. ასე რომ აქაც კარტის მოსვლაზე არ არის დამოკიდებული მონაწილის სატურნირო შედეგი. ის დამოკიდებულია იმაზე, რომ საუკეთესომ ყველაზე კარგად გამოიყენა არსებული თუნდაც ძალიან მწირი შესაძლებლობა.

მონრეალის ჩემპიონატზე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა წყვილი იტალიიდან, Fulvio Fantoni და Claudio Nunes. მეორე ადგილზე გამოვიდა წყვილი აშშ-დან, Mahmood - Rosenberg, მესამეზე წყვილი ბრაზილიიდან, Brenner - Chagas. ქალთა შორის პირველი იყო წყვილი აშშ-დან, McCallum - Rosenberg, მეორეზე ფრანგების წყვილი, Levy - de Heredia, მესამეზე ისევ აშშ-დან Sanborn - Levitina. ეს ის ლევიტინაა, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებებიდან, ამჟამად იგი აშშ-ს მოქალაქეა. სწორედ ამ ჩემპიონატზე იყო გათამაშებული ის ხელი, რომელიც შემოგთავაზეთ. გამთამაშებელია W, ფრანგი Christian Mari, შეკვეთილია 4♥, გათამაშება დაიწყო N-მა ჯვრის K-თი.

N: ♠ K 7; ♥ V 10; ♦ A V 9; ♣ K D V 8 7 4

W: ♠ D 4; ♥ A K 8 7 4 3 2; ♦ D 6; ♣ A 5

E: ♠ A 8 6 5 3; ♥ 9 6 5; ♦ 8 2; ♣ 10 6 3

S: ♠ V 10 9 2; ♥ D; ♦ K 10 7 5 4 3; ♣ 9 2

გათამაშება შემდეგნაირად გაგრძელდა. დაუკვირდით მე-4 სვლაზე თულფის 9-იანის ჩაგდებას. ეს რომ არ გაკეთებულიყო მე-5 სვლის შემდეგ სვლა იქნებოდა E-დან, იქ კი თულფი აღარ არის და გეგმა ჩავარდებოდა.

| | N | E | S | W |
|---|---|---|---|---|
| 1 | ♣K* | ♣3 | ♣2 | ♣5 |
| 2 | ♣D | ♣6 | ♣9 | ♣A* |
| 3 | ♥10 | ♥5 | ♥D | ♥A* |
| 4 | ♥V | ♥9 | ♦3 | ♥K* |
| 5 | ♣4 | ♥6 | ♦4 | ♥8* |
| 6 | ♣7 | ♠3 | ♦5 | ♥7* |
| 7 | ♦9 | ♠5 | ♦7 | ♥4* |
| 8 | ♣8 | ♠6 | ♠2 | ♥3* |

N: ♠ K 7; ♥ -; ♦ A V; ♣ V

W: ♠ D 4; ♥ 2; ♦ D 6; ♣ -

E: ♠ A 8; ♥ -; ♦ 8 2; ♣ 10

S: ♠ V 10 9; ♥ -; ♦ K 10; ♣ -

მოთამაშეებს დარჩათ ხუთ-ხუთი კარტი და W-ს ასაღები აქვს სამი. რა უნდა ჩაიტანოს N-მა და S-მა ♥2-ზე? თუ N ჩაიტანს ♣V-ს, აიღებს E-ს ♣10. თუ N ჩაიტანს ♠7-ს, აიღებს E-ს ♠D. ესე იგი N-მა უნდა ჩაიტანოს ♦V. ამ შემთხვევაში W მეათე სვლაზე ჩამოდის ♦6-ს და N, ჯვრის V-ს აღების შემდეგ იძლევა ორივე ყვავს. საქმეს არ შველის ♥2-ზე აგურის ტუზის ჩატანაც. თუ S აიღებს ♦K-თი, W-E აიღებს ♦D და ♠A-ს.

N 4

ახლახან ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბრიჯში. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონი გახდა გუნდი: ირაკლი ბერიაშვილი, ქართლოს გიორგაძე, ლაშა კოპლატაძე, ნუგზარ მახათაძე, გურამ მირზაშვილი და ედემ ლაგვილავა. გუნდურ პირველობაში მატჩის დროს ოთხი მოთამაშე იღებს მონაწილეობას, ერთი წყვილი ერთ ოთახში და მეორე წყვილი მეორეში. გუნდის დანარჩენი წევრი სათადარიგოა.

გთავაზობთ ამ გუნდის მიერ გათამაშებულ ერთ-ერთ ხელს. N ედემ ლაგვილავაა, S კი ირაკლი ბერიაშვილი. აუქციონი ასე წარიმართა. მიაქციეთ ყურადღება W-ს მიერ ბოლოს ნათქვამ სიტყვას. ეს ნიშნავს, რომ გამთამაშებელია S და ქულები ორმაგდება. ეს ნარდში დავის ანალოგია. არსებობს ამაზე პასუხიც "რეკონტრ". ეს უკვე დავბასის ანალოგია, ანუ ქულები ოთხმაგდება.

N: ♠ x; ♥ K x x x; ♦ D V 10 x; ♣ A K x x

W: ♠ A D V 10 x x x x; ♥ 10 x x; ♦ x; ♣ x

E: ♠ x x; ♥ D V x x; ♦ K x; ♣ D V x x x

S: ♠ K x; ♥ A x; ♦ A 9 x x x x; ♣ 10 x x

| S | W | N | E |
|---|---|---|---|
| 1♦ | პას | 3უთ | 4♠ |
| 5♣ | პას | 6♦ | პას |
| პას | კონტრ | პას | პას |
| პას | | | |

საბოლოო კონტრაქტია კონტრირებული 6♦. გამთამაშებელია S, რადგან მან პირველმა ახსენა აგური. W-დან სვლა იყო ყვავის პატარით.

დიაგრამაზე ჩვეულებრივ მცირე, უმნიშვნელო კარტებს x-ით აღნიშნავენ. ჩვენც ასე მოვიქცევით ხოლმე.

როგორ მოხერხდა კონტრაქტის შესრულება?

## კროსვორდი





# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში